საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 42 (586) ოთხშაბათი, 3 მარტი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 1 მარტს დღის პირველ ნახევარში მდინარე გუმისთაზე სრული სიწყნარე იყო შენარჩუნებული და საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა.

ოჩამჩირის რაიონში სამი საათისათვის მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანმა რაზმმა, რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკის თანხლებით განახორციელა შეტევა სოფელ ლაბრასთან არსებულ ჩვენს პოზიციებზე.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მტრის შემოტევისას თავდაპირველად უკან დაიხიეს, შემდეგ კი განახორციელეს ძლიერი კონტრიერიში და დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები. ქართველმა მეომრებმა ბრძოლაში მოსპეს მტრის 1 ტანკი და მიაყენეს ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი ზარალი.

მდინარე გუმისთაზე პოზიციური ბრძოლები ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. ღამის განმავლობაში საბრძოლო მოქმედება არც ოჩამჩირის რაიონში ყოფილა.

2 მარტს დილის 10 საათისათვის სოხუმის აეროპორტის დასახლებაში მცხოვრები ხავლე ვოლოშინის ბინაში აღმოჩენილი იქნა 71 ცალი დეტონატორი, 40 მეტრი ბიქფორდის ზონარი და 1 ცალი ნაღმსაძიებელი მოწყობილობა. ხავლე ვოლოშინი დაკავებულია და მიმდინარეობს ძიება.

გუშინ შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და გუდაუთის დაჯგუფების წარმომადგენლებს შორის. ქართულმა მხარემ პროტესტი განუცხადა აფხაზებს სეინერ „გაგრის“ დაკავებისა და მისი ეკიპაჟისა და მგზავრების მძევლებად აყვანის გამო.

აფხაზეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოხუმის პორტს ყოველ გემს და ტვირთს, რომელიც გემზე იქნება, როგორც აფხაზეთის რესპუბლიკის საკუთრებას, კონფისკაციას გაუკეთებენ.

ქართული მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი პოზიცია კიდევ უფრო გაართულებს ურთიერთობას ქართველ-აფხაზთა შორის და წარმოქმნის გაუთვალისწინებელ ექსცესებს.

მდინარე გუმისთაზე დაახლოებით 11 საათიდან გაგრძელდა პოზიციური ბრძოლები.

იოსებ გოგეჩია.

ჰუმანური დახმარება თურქეთიდან

„სარფის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტში შემოვიდა ექვსი ტრაილერი, რომლებზეც გამოსახულია წითელი ნახევარმთვარე. მათ ანკარიდან ჩამოიტანეს ჰუმანური დახმარების ტვირთი. ამ ფაქტს განმარტავს ერთგული გზის პარტიის (თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის პარტიის) გენერალური თავმჯდომარის მოადგილე მირაჯ დემირბაში:

— თურქეთი და საქართველო მეზობლები არიან და მათ კეთილი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ძნელ წუთებში მეზობლები ერთმანეთს ეხმარებიან. მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა ჰუმანური დახმარების მისიის ერთ-ერთი ორგანიზატორის პატივი. სულ ჩამოტანილია 200 ათასი დოლარის დახმარება.

სასურსათო პროდუქტები უწინარეს ყოვლისა გაუნაწილდებათ ლტოლვილებს აფხაზეთიდან, საავადმყოფოებს, საბავშვო დაწესებულებებს, გაჭირვებულებს.

ბატონი მირაჯ დემირბაში მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ.

თენგიზ გენძეხაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

პარლამენტარები მსჯელობენ, კამათობენ, აანალიზებენ

პარლამენტის სხდომის დღიური

საკითხების ფართო სპექტრი აისახა დღის წესრიგში, რომელიც 2 მარტს განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომას. მაგრამ, ვიდრე პარლამენტარები უშუალოდ შეუდგებოდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას, სიტყვა განცხადებისათვის ითხოვა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა აკაკი ასათიანმა, რომელმაც მოითხოვა, რომ კავშირის მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილ მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტს პარლამენტმა ცალკე უყაროს კენჭი. და, რადგან ბატონი აკაკი ასათიანის კრიტიკის ადრესატი უპირველესად პარლამენტის იურიდიული კომისია იყო, მის თავმჯდომარეს შალვა ნათელაშვილს მოუხდა პასუხი გაეცა და განემარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებსა და ფრაქციებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვთ. ამდენად, იურიდიული კომისია, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს, წარმოდგენილი პროექტებიდან აიღებს იმას, რაც საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება.

შემდეგ პარლამენტარებმა მოისმინეს სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარის თენგიზ ბუაჩიძის ინფორმაცია. პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეუწყდა პარლამენტის წევრს ნუგზარ კაკიაშვილს ლაგოდეხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით. პარლამენტმა ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება. სამაგიეროდ, პარლამენტმა არ მიიღო ბატონ თენგიზ ბუაჩიძის მიერ შემოთავაზებული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის მე-4 მუხლის განმარტება, რომლის შესაბამისადაც პარლამენტის წევრისათვის დაიშვება სამეცნიერო, პედაგოგიურ ან შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული თანამდებობის შეთავსება, თუ ამასთან ერთად მას არ ეკისრება ადმინისტრაციულ-აღმასრულებელი ფუნქციები.

ერთხმად მიიღეს დადგენილება სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების შესახებ, რომლის პროექტიც სხდომას წარმოუდგინა პარლამენტის წევრმა გივი თუმანიშვილმა.

არაერთგვაროვნად აღიქვეს პარლამენტარებმა პარლამენტის წევრის ჯუმბერ პატიაშვილის განცხადება, რომელმაც საკმაო ვნებათაღელვაც გამოიწვია. მისი სიტყვები გამოხატავდნენ მის განწყობილებას, რომელიც აღიქმებოდა, როგორც აღსარება საკმაო დუმილის შემდეგ. მან განაცხადა, რომ იგი მზად არის ძალისხმევა არ დააკლოს ავადმოსაგონარი 9 აპრილის ტრაგედიის დღემდე ბურუსით მოცული სინამდვილის გარკვევას. ამასთან მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ სიმძიმისაგან გათავისუფლება სჭირდება არა მხოლოდ მას, არამედ ეს, უწინარესად, სჭირდება მომავალ თაობას, რათა მათ მაინც იცოდნენ სიმართლე. ბატონმა ჯუმბერმა არაორაზროვნად და სავსებით გულწრფელად გაუზიარა კოლეგებს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არცთუ იშვიათად ეჭვქვეშ აყენებენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მისი ყოფნის მორალურ მხარეს. ასეთ ოპონენტთა საპასუხოდ მან ხაზგასმით გაიმეორა, რომ იგი ხალხის მიერ არის არჩეული და ვალდებულია თავისი ამომრჩევლების წინაშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი განცხადება არაერთგვაროვნად იყო აღქმული და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია...

ამ ემოციური განცხადებისა და აზრთა ცხოველი გაზიარების შემდეგ პარლამენტის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

შესვენების შემდეგ პარლამენტარებმა მიიღეს დადგენილება „დედის დღის“ დაწესების შესახებ, რომლის პროექტიც წარმოადგინა პარლამენტის წევრმა ვიქტორ ლორთქიფანიძემ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წინადადების გათვალისწინებით. ამიერიდან, „დედის დღე“ აღინიშნება ყოველ გაზაფხულზე, 3 მარტს და იგი უქმე იქნება.

ბუნებრივია, დღეს საკითხთა საკითხი, ჩვენი უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი აფხაზეთი, იქ მიმდინარე ომია. ამიტომ სავსებით გასაგებია პარლამენტართა, და არა მხოლოდ მათი, ინტერესი ყოველგვარი ინფორმაციისადმი, რაც დაკავშირებულია საქართველოს ამ ტკივილთან, აფხაზეთში ომის ღირსეულად დამთავრებასთან. რამდენიმე სხდომის დღის წესრიგში იყო აღნიშნული პარლამენტის წევრის ბორის კაკუბავას მოხსენება, მაგრამ მიზეზთა გამო მისი მოსმენა არ მოხერხდა. ამჯერად, ოცწუთიან მოხსენებაში პარლამენტარმა მიმოიხილა აფხაზეთის მოვლენები და მათ თავისი, სუბიექტური შეფასება მისცა. ცხადია, მოხსენებამ მწვავე კამათი გამოიწვია. ვნებათაღელვა ჩააცხრო სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოკლე განმარტებამ. მან, კერძოდ, თქვა, რომ საპარლამენტო დებატების წინ ამ მოხსენების მოსმენა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. თუ ვიწყებთ დებატებს თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე, მაშინ დავიწყოთ სერიოზულად, ყოველმხრივ შეჯერებულად, სერიოზული ინფორმაციებით ყველა საკითხზე და, რა თქმა უნდა, მთავარი საკითხი ამ დებატებში იქნება კონფლიქტი აფხაზეთში. დღეს კი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად კამათის გაგრძელება ამ საკითხზე, რადგან უკვე ზეგ პარლამენტი იწყებს დებატებს.

ამ განცხადების შემდეგ პარლამენტარებმა კამათი შეწყვიტეს.

თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მიერ შემოტანილი დადგენილების პროექტი — ყოფილ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში შემავალი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების მთლიანი და ნაწილობრივი პრივატიზაციის წესის შესახებ — პარლამენტარებმა კენჭისყრით მიიღეს.

საღამოს სხდომაზე პარლამენტის სპიკერის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ პარლამენტარებს აცნობა, რომ „დედის დღის“ დაწესებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსმა ცვლილება განიცადა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ახალი რედაქციით.

პარლამენტარებმა იმსჯელეს და შემდგომი მომზადებისათვის გადადეს საქართველოს რესპუბლიკის კანონპროექტი „იჯარის შესახებ“.

ხანგრძლივი მსჯელობისა და აზრთა გაზიარების შემდეგ პარლამენტარებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა შესახებ.

სხდომა გვიანობამდე მუშაობდა.

ნომერში

- ⊙ ბინები უნდა მიიღონ გაჭირვებულმა ოჯახებმა. 3
- ⊙ ცენტრი ნარკომანების განკურნებისთვის იღვწის. 4

სურათზე: რწმუნების სიგელების გადაცემის დროს.
ვივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დანიის ელჩი

დანია ბავშვობიდანვე ახლობელი და მშობლიური ხდებოდა ჩვენთვის დიდი ჰანს ქრისტიან ანდერსენის ჯადოსნური ზღაპრების მეოხებით. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ჰუმანისტი მწერლის ნოდარ დუმბაძის სახელი ანდერსენის კომიტეტის საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით შეტანილია დიდი დანიელი მწერლის სახელობის საპატიო ნუსხაში.

...და აი, ახლა დანია ჩვენი კეთილი მეგობარი, საიმედო პარტნიორი ხდება. 2 მარტს პარლამენტის შენობაში დანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ქრისტიან ფაბერ-როდემ რწმუნებულების სიგელები გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დანიის ელჩი ქრისტიან ფაბერ-როდე. საუბრის დროს განიხილეს სხვადასხვა სფეროში — პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის დარგებში თანამშრომლობის საკითხები.

ელჩმა განუცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, რომ დანია დაინტერესებულია საქართველოსთან კონტაქტებით და აღუთქვა, რომ როგორც კი სტაბილური გახდება მდგომარეობა, აქ ჩამოვლენ დანიელი ბიზნესმენები.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარი ფაბერ-როდთან

2 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო დანიის ელჩი ქრისტიან ფაბერ-როდე.

მიღებას ესწრებოდა პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი.

მხარეებს შორის გამოითქვა ორმხრივი სურვილი საქართველო-დანიის მომავალ საპარლამენტო ურთიერთობათა შესახებ.

მიღებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„დედის დღის“ დაწესების შესახებ

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წინადადების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს „დედის დღე“.
2. „დედის დღე“ აღინიშნოს ყოველი წლის 3 მარტს და გამოცხადდეს უქმე დღედ.
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი. 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს — ახალ წელს;

7 იანვარს — უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს — ნათლისღებას — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

3 მარტს — დედის დღეს;

უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს — აღდგომის მეორე დღეს, თარიღი გარდამავალია;

26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას);

14 ოქტომბერს — მცხეთობის (სვეტიცხოვლის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს — გიორგობის დღეს.

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი ბესარიონ ფაჩუაშვილი სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ყოფილ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში შემავალი სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების მთლიანი და ნაწილობრივი პრივატიზაციის წესის შესახებ

ითვალისწინებს რა, რომ ყოფილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების პრივატიზაციის პროცესში საწარმოო სიმძლავრეები გადადის დარგებში, სადაც ისინი სრული ეკონომიკური ეფექტიანობით ვერ გამოიყენება, ზოგჯერ კი იყიდება საზღვარგარეთ ან იძარცვება, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ყოფილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და სხვა საწარმოების მთლიანი ან ნაწილობრივი პრივატიზაცია ნებადართულ იქნეს მხოლოდ საექსპერტო კომისიების იმ დასკვნის საფუძველზე, რომ საპრივატიზაციო ობიექტი ან მისი ნაწილი არ შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის პოტენციალს.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამხედრო-სამრეწველო კომისიას დაევალოს საექსპერტო კომისიების შექმნა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი. 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ნუგზარ კაკიაშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეუწყდეს ნუგზარ კაკიაშვილს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ლაგოდეხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაინიშნოს პარლამენტში ლაგოდეხის დეპუტატის არჩევნები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 2 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის და მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 19 თებერვლის დადგენილების თანახმად, წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატებმა 1993 წლის 15 მარტიდან განახორციელონ წვევამდელთა მომზადება და გაწვევა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად პირველ რიგში, გაწვეულ იქნან უფროსი ასაკის წვევამდელები.

3. ყველა წვევამდელები, 18-დან 25 წლამდე, ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ შესაბამის სამხედრო კომისარიატებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამხედრო კომისრის ბრძანებაში და სპეციალურ უწყებებში ნაჩვენებ ვადებში.

4. იმ წვევამდელების მიმართ, რომლებიც თავს აარიდებენ სამხედრო კომისარიატებში გამოცხადებას, სამხედრო კომისარიატებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები მათ დასასჯელად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად. წვევამდელთა გაწვევისაგან თავის არიდების მასალები 5 დღის ვადაში გადაეცეს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთების და ნაწილების მეთაურებმა მოამზადონ სამხედრო ნაწილები და სასწავლო ცენტრები წვევამდელთა მისაღებად, განსათავსებლად და მათთან საბრძოლო მომზადების ორგანიზებულად ჩასატარებლად.

6. კატეგორიულად აიკრძალოს რეგულარული არმიის ახალწვეულთა მივლინება სპეციალური სამხედრო დავალებების შესასრულებლად 6-თვიანი პროგრამით გათვალისწინებული მომზადების გარეშე.

7. საქართველოს რესპუბლიკის გამწვევმა კომისიამ გააკაცროს კონტროლი რაიონებისა და ქალაქების გამწვევი კომისიების მუშაობაზე. განსაკუთრებით წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების საკითხებში და კანონიერების დაცვაში.

8. მიღებულ იქნეს მკაცრი ზომები იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც თვითნებურად ტოვებენ სამხედრო ნაწილებს. მოკვლევისა და გამოძიების მასალები სამხედრო ნაწილის მეთაურებმა 5 დღის ვადაში გადასცენ სამხედრო პროკურატურას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

9. კატეგორიულად აიკრძალოს წვევამდელების მიღება და ჩარიცხვა სამხედრო ნაწილებში, ადგილობრივი და რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატის მიერ ოფიციალური გაწვევის გაფორმების გარეშე.

10. ბრძანებას გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, თავდაცვის მინისტრი
თ. კიტოვანი.

თბილისი. 26 თებერვალი, 1993 წელი.

ფოთი: აწმყო და მომავალი

არ დაიხოცებიან თოლიები ნავსადგურში

გურიის შემარცხვენილი გზებით შემოგვყვა ზამთარი ფოთში: გზები-რეკეტირები ისე შეგვანჯღრევენ, ფულს კი არა, სულს მისცემ სასწრაფოდ, ოღონდ თავი დაგანებონ. გურიაში რა გინდოდათ, — და საჯავახოზე წამოსვლა ვარჩიეთ, სამტრედიიდან გადავუხვიეთ.

ახლა პირსის კიდეზე ვსაუბრობთ ნავსადგურში, და თოვს, როგორც თითქმის ყოველდღე შარშანდელი დეკემბრიდან მოყოლებული..

გაყინულივით დგანან შავი ამწეები, ორი მონსტრო მაინც ყელყელაობს ინსტინქტის შინაგან რიტმს აყოლილი, ძალაგამოცლილი — დინოზავრების უკანასკნელი ტანგო პარიზში.

ზღვა არის სულ ახლოს და არც არის, არა ჩანს, როგორც გალაკტიონის მწვერვალებს მოდებული ქარი: თოვლისა და წვიმის „რეკვიემს“ ჩვენი ყურადღება პროფესიულ (და ძვირადღირებულ) აპარატურაზე გადააქვს — ბადრი ვადაჭკორია დიდი მონდომებით გაუგებარ ცელოფანებში ახვევს ფოტოს და ტელეაპარატურას, მიკროფონს რაღაც ჩოლტისმაგვარს ვუმზადებთ და ვაგრძელებთ საუბარს ფოთის პორტის უფროსთან ვალერი გეგეძესთან, მით უფრო, რომ იგი გაცვეთილი გიგანტების დაჟინებულ რეაქციაზე საუბრობს:

— ამ თოვლსა და უბედურებაში ყველა დაფასოებული ტვირთის გადმოზიდვა შეჩერებულია. ასეთია ჩვენი მოძველებული ტექნოლოგია. ჯერჯერობით სხვა საშუალება არა გვაქვს.

გემმისადგომთან იდგა „ინგური“, „ინგური“ ეწერა ლათინური შრიფტით, იყო თურქეთის გემი, მშრალი ტვირთისთვის განკუთვნილი. რამდენიმე დღეა ტვირთავენ სასუქით (ჩვენი ექსპორტი) თოვებს შორის პაუზების დროს.

— ხომ არ იწყება ნავსადგურის გამყინვარების პერიოდი?

— არა. პირიქით. რუსთავის „აზოტთან“ ერთად (ჩვენი უძველესი პარტნიორია რამდენი წელია უკვე) გერმანული ფირმის „კრეგერის“ მონაწილეობით, აი, ამ უბნის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის ვემზადებით. პროექტი პრინციპულად მოწონებულია და გერმანელები მცირე დროში დაამონტაჟებენ ახალ ტექნიკას, რომელიც ფხვიერ ტვირთს გემში დატვირთავს და გადმოტვირთავს. თუ დღის 300-დან 500 ტონამდე ვტვირთავთ მხოლოდ, რეკონსტრუქციის შემდეგ 2.500-3.000 ტონას დავამუშავებთ, თანაც პრაქტიკულად ყოველგვარ ამინდში.

ამასობაში თოვა წვიმამ შეცვალა და ბადრი ვადაჭკორია ჩქოლის ძებნას შეუდგა (რომელიც საბოლოოდ მაინც დაკარგა), ვისარგებლე შესვენებით მკითხველის საქმის კურსში შესაყვანად.

ფხვიერი (დაფასოებული) ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე ორგანიზება ერთ-ერთი შემადგენელია იმ საერთო რეკონსტრუქციისა, რომელსაც ფოთის ნავსადგურს ჩაუტარებენ, უფრო ზუსტად, — რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის, კიდევ უფრო ზუსტად, — ამ ეტაპის ხუთ ძირითად კვანძთაგან ერთ-ერთია.

— მეორე, — აგრძელებს ვალერი გეგეძე, — მეთხუთმეტე გემმისადგომის ტერმინალის აგებაა. მისადგომის სიგრძე 250 მეტრი მაინც უნდა გახდეს, წყლის სიღრმე — თერთმეტ-ნახევარი. ფირმა „ჰარტმანის“ პნევმატური დანადგარები ამოწოვენ ტვირთს — ხორბალს. დღე-ღამეში 10-15 ათას ტონას გადავტვირთავთ. გავიყვანთ რკინიგზის სპეციალურ ლიანდაგს, ხორბლის რამდენიმე საცავს — ელევატორს დავამონტაჟებთ.

ამით მთლიანად მოვემსახურებით საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და კასპიის ზღვის იქითა ქვეყნებს, ძირითადად, შუა აზიას, ირანს, რომელიც ძალიან ბევრ ხორბალს ყიდულობს და ჩვენც ბევრი დავამუშავეთ.

მესამე. ყოფილი გემმისადგომი, სადაც გერმანელების მიერ აშენებული მაციდარი არა ერთი ათეული წელიწადი იდგა, მაგრამ ქალაქკომის პირველი მდივნის ბერაიას, დაჟინებით ბულვარის გასაშენებლად დაანგრიეს, მე-12, მე-13, და მე-14 გემმისადგომები მთლიანად უნდა გადაკეთდეს საკონტეინერო და „როროს“ ტიპის გემების ტერმინალებად.

— „რორო“ რას ნიშნავს?

— ავტობორანს. მეოთხე კვანძი ისევ ბორანია, ოღონდ რკი-

(დასასრული მე-8 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილება

იარაღის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „იარაღის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ იქნეს შემოღებული მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, თავდაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს, შეიმუშაონ და დაამტკიცონ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ა. წ. 1 მარტამდე.

3. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა, განსაზღვრონ მოქალაქეების ხელთ არსებული იარაღის და საბრძოლო მასალის შესყიდვის წესი საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართოდ აუწყონ მოსახლეობას, რომ პირი, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს ან ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ცეცხლსასროლი იარაღის ცნება, სახეები და დანიშნულება

ცეცხლსასროლია იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს დენთის გაზების მოქმედების შედეგად.

ეს კანონი განსაზღვრავს შემდეგი სახეობის და დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღის (შემდეგში იარაღის) სამართლებრივ რეჟიმს: 1. სამხედრო-საბრძოლო იარაღი; 2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი; 3. სანადირო იარაღი; 4. სასპორტო იარაღი; 5. ჯილდოდ მიღებული იარაღი; 6. საკოლექციო იარაღი;

იარაღისათვის კონკრეტული სახეობის მიკუთვნება ხდება იარაღის სახელმწიფო კადასტრით, რომლის შედგენის წესსა და პირობებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. იარაღის აღრიცხვა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული იარაღი, მისი დამზადების ადგილის მიუხედავად, ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვასა და რეგისტრაციას.

მუხლი 3. იარაღის დამზადება, შეკეთება და აღდგენა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღსა და საბრძოლო მასალას ამზადებენ, იარაღს აწყობენ და ძირითად ნაწილებს აწარმოებენ იურიდიული პირები სპეციალური ნებართვით (ლიცენზიით), რომელსაც გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

იარაღის შეკეთება და აღდგენა, გარდა თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სარგებლობაში არსებული იარაღისა, ხორციელდება სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სარგებლობაში არსებული იარაღის შეკეთებისა და აღდგენის წესს განსაზღვრავს ამ უწყებათა ნორმატიული აქტები.

უნებართვოდ იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადება, აწყობა, აღდგენა და შეკეთება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აიკრძალოს გარკვეული სახეობის იარაღის ან საბრძოლო მასალის დამზადება, აწყობა, აღდგენა და შეკეთება.

მუხლი 4. იარაღის ვაჭრობა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღისა და საბრძოლო მასალის ვაჭრობა არის სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება. იარაღის ვაჭრობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 5. უარი ნებართვის გაცემაზე

პირებს იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადების, აწყობის, აღდგენის, შეკეთებისა და ვაჭრობის ნებართვა არ მიეცემათ, თუ მათ არა აქვთ საჭირო ცოდნა და არ შეუძლიათ უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე, თვრამეტ წლამდე პირებს, სულით ავადმყოფებს, ნარკომანებს და ალკოჰოლიკებს, ნასამართლევ პირებს, თუ მათ მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვთ ნასამართლობა.

მუხლი 6. იარაღის შეძენა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის საფუძველზე შეუძლიათ საკუთრების უფლებით შეიძინონ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი მე-3, მე-4 და მე-6 სახეობის იარაღი და შესაბამისი საბრძოლო მასალა, აგრეთვე, მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, რევოლვერი, ავტომატურის გარდა). დასაშვებია იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა ნებართვის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში.

პირი, რომელიც ნებართვით შეიძენს იარაღს, ვალდებულია, ათი დღის ვადაში რეგისტრაციაში გაატაროს იგი შინაგან საქმეთა ორგანოებში.

იარაღის შეძენა ეკრძალებათ თვრამეტ წლამდე პირებს, სულით ავადმყოფებს, ნარკომანებს და ალკოჰოლიკებს, ნასამართლევ პირებს, თუ მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვთ ნასამართლობა, აგრეთვე, პირებს, რომელთა მიმართ შინაგან საქმეთა ორგანოებში გახსნილია სამეთვალყურეო პროფილაქტიკური საქმე ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

უცხოელ მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღის შეძენის უფლება მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, და თუ უცხოელ მოქალაქეს აქვს იარაღის შეძენის ნებართვა იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც იგი არის.

მუხლი 7. იარაღის შენახვა

შეძენილი იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის წესს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში იარაღი და საბრძოლო მასალა ინახება ამ უწყებათა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

პირი, რომელიც დაარღვევს იარაღის შენახვის წესს, პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. იარაღის მესაკუთრენი და იარაღით მოსარგებლენი

იარაღის მესაკუთრეა პირი, რომელმაც იარაღი შეიძინა ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

იარაღის მოსარგებლეა პირი, რომელსაც თავისი სამსახურის ხასიათის გამო, უფლება ეძლევა, იქონიოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი.

მუხლი 9. იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა

იარაღის მესაკუთრეს და იარაღის მოსარგებლეს უფლება აქვთ გაიტანონ იარაღი ბინიდან, სახლიდან, სამსახურებრივი შენობიდან და შენახვის ადგილიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის იარაღის გადაზიდვის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ნორმატიული აქტებით.

აკრძალულია იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვა და გადაგზავნა ფოსტით.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იარაღისა და საბრძოლო მასალის შემოტანის, გატანისა და ტრანზიტის საკითხები განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 10. იარაღის ტარება და გამოყენება

იარაღის ტარება, ნიშნავს მისი მოსარგებლის უფლებას, თან იქონიოს იარაღი მუდმივად ან სამსახურებრივი დავალების შესრულების დროს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის ადგილებისა.

იარაღის დადგენილი წესით გამოყენების უფლება აქვს იარაღით მოსარგებლეს.

იარაღის მესაკუთრეს არა აქვს მისი ტარების უფლება, გარდა მიზნობრივი დანიშნულების სანადირო გლუვლულიანი იარაღისა.

მესაკუთრეს ეკრძალება იარაღის გამოყენება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 11. იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის შეწყვეტა

იარაღის საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვა წყდება, თუ:
1. გავიდა იარაღის ტარების ნებართვით დადგენილი ვადა;
2. შეწყდა იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც, გაცემული იყო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვა ან შეწყდა პირის შრომითი ურთიერთობა იმ საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან, რომელსაც ასეთი ნებართვა ჰქონდა;
3. გარდაიცვალა იარაღის მფლობელი;
4. დაირღვა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნისა და გამოყენების წესები;
5. გაუქმდა იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა;
6. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. იარაღის ჩამორთმევა

იარაღის ჩამორთმევა ხდება იმ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც გასცა იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვა.

მუხლი 13. იარაღის კონტროლი

იარაღის დამზადებას, იარაღის ვაჭრობას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, ტარებასა და გამოყენებას სახელმწიფო კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, რომლის გამგებლობას განეკუთვნება:
1. სამხედრო-საბრძოლო, სამსახურებრივ-საშტატო, სასპორტო, და სანადირო იარაღის დამზადების ნებართვის გაცემა;
2. სამხედრო-საბრძოლო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადების, იარაღის ვაჭრობის, შეძენის, შენახვის, ტარების და გამოყენების წესების განსაზღვრა;
3. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის კონტროლი;
4. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის დადგენა, იარაღის აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესის განსაზღვრა.
5. იარაღის კონტროლის შესახებ სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება.

მუხლი 14. შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენცია იარაღის კონტროლის დარგში

იარაღის კონტროლის დარგში საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება;
1. იარაღის, მათ შორის საკოლექციო იარაღის, შენახვის, შეკეთებისა და აღდგენის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა (გარდა, სამხედრო-საბრძოლო იარაღისა);
2. იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული იარაღის აღრიცხვა-რეგისტრაცია;
3. ტირების, სასროლეთების, სასროლი სანადირო სტენდების, იარაღის შემკეთებელი და აღმდგენი სახელოსნოების გახსნის ნებართვის გაცემა.
4. იარაღის (გარდა სამხედრო-საბრძოლო იარაღისა) შეძენის, შენახვისა და ტარების წესების შესრულების კონტროლი;
5. იარაღის ჩამორთმევა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. თვითნაკეთი იარაღი

თვითნაკეთია იარაღი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად დამზადებულია უნებართვოდ.

აკრძალულია თვითნაკეთი იარაღის რეგისტრაციაში გატარება და საკუთრებისა და სარგებლობის ნებართვის გაცემა.

თვითნაკეთი იარაღის დამმზადებელი, შემძენი, შემნახველი, მტარებელი და გამომყენებელი პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 16. იარაღის დამამზადებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის დამამზადებელს უფლება აქვს:
1. ნებართვის საფუძველზე დაამზადოს იარაღი და მიჰყიდოს დამკვეთს ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად;
2. იყოს დამზადებული იარაღის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის მესაკუთრე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. განახორციელოს საკონსტრუქტორო სამუშაოები.

იარაღის დამამზადებელი მოვალეა:
1. გამოცადოს დამზადებული იარაღი იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფო სტანდარტებს;
2. დამზადებული იარაღი და საბრძოლო მასალა აღრიცხოს სათანადო დავთარში, რომელშიც შეიტანება საქარხნო ნიშანი და სააღრიცხვო ნომერი;
4. უზრუნველყონ დამზადებული იარაღისა და მისი სათადარიგო ნაწილების, აგრეთვე საბრძოლო მასალის დაცვა.

მუხლი 17. იარაღის მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს:
1. ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შეძენილ იარაღსა და საბრძოლო მასალას ამ კანონით დადგენილი წესით;
2. მიიღოს კომპენსაცია იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ან რეკვიზიციის შემთხვევაში.

იარაღის მესაკუთრე მოვალეა:
1. აღრიცხოს, რეგისტრაციაში და ხელახალ რეგისტრაციაში გაატაროს შეძენილი იარაღი;
2. დროულად გადაიხადოს სარეგისტრაციო მოსაკრებელი;
3. დაიცვას იარაღის ტარების, გამოყენების, შენახვისა და გადაზიდვის წესი;
4. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა;
5. უზრუნველყოს იარაღის შენახვის ადგილებში შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა დაშვება დადგენილი წესით და მათთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა;
6. დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაკარგვის შესახებ.

მუხლი 18. იარაღის მოსარგებლის უფლება-მოვალეობანი

იარაღის მოსარგებლეს უფლება აქვს:
1. ატაროს და შეინახოს იარაღი მისი მიღების პირობების შესაბამისად;
2. გამოიყენოს იარაღი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

იარაღის მოსარგებლე ვალდებულია:
1. გამოიყენოს იარაღი მხოლოდ დანიშნულებისამებრ;
2. უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა კანონით დადგენილი წესით;

აკრძალულია დისლოკაციის ადგილების გარდა, შეიარაღებული ძალების მოსამსახურის სამხედრო საბრძოლო იარაღით გადაადგილება სპეციალური ნებართვის გარეშე.

მუხლი 19. იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დაცვა

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრისა და მოსარგებლის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

იარაღის დამამზადებლის, მესაკუთრის და მოსარგებლის უფლებების დარღვევის გამო, დავას წყვეტს სასამართლო.

თავი III

სამხედრო-საბრძოლო იარაღი

მუხლი 20. სამხედრო-საბრძოლო იარაღის ცნება

სამხედრო-საბრძოლოა იარაღი, რომელსაც დანიშნულებით იყენებენ დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ორგანოები.

იარაღისა და საბრძოლო მასალისთვის სამხედრო-საბრძოლო იარაღის კატეგორიის მიკუთვნებას განსაზღვრავს იარაღის სახელმწიფო კადასტრი.

მუხლი 21. სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის დაკვეთით იმ საწარმოებში, რომელთაც აქვთ შესაბამისი ნებართვა.

მუხლი 22. სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება

სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება ხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ნორმატიული აქტებით.

მუხლი 23. სამხედრო-საბრძოლო იარაღის კონტროლი

სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადებას, შეძენას, შენახვას, გადაგზავნას, გადაზიდვას და გაყიდვას, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანას, გატანასა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტს კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი IV

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 24. სამსახურებრივ-საშტატო იარაღი

სამსახურებრივ-საშტატოა იარაღი, რომელსაც იურიდიული პირი იყენებს იმ მუშაკთა შესაიარაღებლად, რომლებსაც სამსახურის ხასიათის გამო, ნებადართული აქვთ ატარონ იარაღი.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ:

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს;

— საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს;

— საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებს;

სხვა უწყებებსა და თანამდებობის პირებს სამსახურებრივი ხასიათის გამო, შეიძლება მიეცეს მხოლოდ არაავტომატური სახის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღი.

მუხლი 25. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება

სამსახურებრივ-საშტატო იარაღი პირს მიეცემა სარგებლობაში, თუ მას აქვს ამ იარაღის ტარების ინდივიდუალური ნებართვა.

ინდივიდუალურ ნებართვას გასცემს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტების შესაბამისად იმ უწყების შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის მუშაკებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების წესების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 26. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენება

პირს, რომელიც სარგებლობს სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, უფლება აქვს, გამოიყენოს იარაღი კანონით დადგენილი წესით.
1. ადამიანზე, ქონებაზე და დაწესებულებაზე თავდასხმის აღსაკვეთად, უკიდურესი აუცილებლობის დროს;
2. მასზე თავდასხმის აღსაკვეთად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორსა და შინაგან საქმეთა ორგანოს.

ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების გადამეტებისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მუხლი 27. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი V

სანადირო იარაღი

მუხლი 28. სანადირო იარაღის ცნება

სანადიროა ყოველგვარი ცეცხლსასროლი გლუვლულიანი, კომბინირებული და კუთვნილი იარაღი, რომელსაც იძენს იურიდიული და ფიზიკური პირი სარეწაო, სპორტულ-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის და რომლის საცეცხლე სიმძლავრე არ სცილდება ამ მიზნის ფარგლებს.

მუხლი 29. სანადირო იარაღის დამზადება

სანადირო იარაღი მზადდება ამ კანონის მე-7 მუხლის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 30. სანადირო იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა და გადაგზავნა

სანადირო იარაღის შეძენის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვით:

სანადირო იარაღის ტარებისა და შენახვის ნებართვა არ მიეცემათ ამ კანონის მე-6 მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ პირებს.

უცხოელი მოქალაქენი სანადირო იარაღს იძენენ ამ კანონის მე-6 მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული წესით.

სანადირო იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვისა და გადაგზავნის წესებს განსაზღვრავს ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 31. სანადირო იარაღის გამოყენება

სანადირო იარაღის მესაკუთრეს და მოსარგებლეს უფლება აქვს ეს იარაღი გამოიყენოს სარეწაო, სპორტულ-სამოყვარულო და სამეცნიერო ნადირობისათვის.

სანადირო იარაღის გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 32. სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი

სანადირო იარაღის მესაკუთრეს აქვს სანადირო იარაღის გასხვისების უფლება ამ კანონით დადგენილი წესით. გასხვისების შემთხვევაში, პირი ვალდებულია იარაღი ხელახლა გაატაროს რეგისტრაციაში კანონმდებლობის შესაბამისად.

იარაღის მესაკუთრის გარდაცვალებისას, მემკვიდრეობის საკითხი გადაწყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სანადირო იარაღთან დაკავშირებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებანი რეგულირდება ამ კანონით, სამოქალაქო კანონმდებლობით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი VI

სასპორტო იარაღი

მუხლი 33. სასპორტო იარაღის ცნება

სასპორტოა იარაღი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო და ეროვნული სპორტული ფედერაციების სტანდარტებს და განკუთვნილია სპორტსმენების მოსამზადებლად და მათ მიერ საკვალიფიკაციო ნორმატივების შესასრულებლად.

მუხლი 34. სასპორტო იარაღის წარმოება, გამოყენება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადატანა

სასპორტო იარაღის წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონის და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

სასპორტო იარაღის გამოყენება დაიშვება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით სპეციალურად მოწყობილი სპორტული ობიექტების ტერიტორიაზე.

თავი VII

ჯილდოდ მიღებული იარაღი

მუხლი 35. ჯილდოდ მიღებული იარაღი

ჯილდოდ მიღებულია იარაღი, რომელიც წახალისების წესით გადაეცემა პირს, განსაკუთრებული საბრძოლო და სამსახურებრივი დამსახურებისათვის. აკრძალულია ავტომატური იარაღის ჯილდოდ გადაცემა.

იარაღით დაჯილდოების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 36. ჯილდოდ მიღებული იარაღის შენახვა, ტარება და გამოყენება

ჯილდოდ მიღებული იარაღის რეგისტრაცია ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო გამოყენება — ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

თავი VIII

საკოლექციო იარაღი

მუხლი 37. საკოლექციო იარაღის ცნება

საკოლექციოა იარაღი, რომელიც საექსპერტო კომისიის დასკვნით წარმოადგენს სამეცნიერო, ისტორიულ, მხატვრულ ღირებულებას და რომლის შენახვის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომლის დანიშნულებაა კოლექციის ფორმირება და ექსპონირება.

საკოლექციო იარაღი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას.

საკოლექციო იარაღის საექსპერტო შეფასებისა და მისი რეგისტრაციის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 38. საკოლექციო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გამოყენება

საკოლექციო იარაღის დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა ხდება ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

საკოლექციო იარაღი გამოიყენება მხოლოდ ექსპონატად.

მუხლი 39. საკოლექციო იარაღთან დაკავშირებული გარიგებანი

საკოლექციო იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს, გაასხვისოს იარაღი იმ პირზე, რომელსაც აქვს საკოლექციო იარაღის შენახვის უფლება იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და კულტურის სამინისტრო.

თავი IX

იარაღის სახელმწიფო კადასტრი

მუხლი 40. იარაღის სახელმწიფო კადასტრი

იარაღის სახელმწიფო კადასტრის მიზანია იარაღის სახეობათა სისტემატიზებული ნუსხის შედგენა, იარაღის ძირითადი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების მითითება და მისი სახელმწიფო სტანდარტების დადგენა.

სახელმწიფო კადასტრის დანიშნულებაა იარაღის კონკრეტული ნიმუშების იარაღის სახეობისთვის მიკუთვნების დადგენა, იარაღის დამზადების, გაყიდვის, მესაკუთრეობისა და სარგებლობის წესებისადმი კონტროლის მიზნით.

მუხლი 41. საქართველოს რესპუბლიკის იარაღის სახელმწიფო კადასტრის შინაარსი და შედგენის წესი

იარაღის სახელმწიფო კადასტრი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი მოიცავს სამხედრო-საბრძოლო იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოებაა. ასეთი იარაღის საიდუმლოების ხარისხს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მეორე ნაწილი მოიცავს იმ იარაღის ნიმუშებს, რომელთა შესახებ ცნობები გასაიდუმლოებული არ არის.

იარაღის სახელმწიფო კადასტრის შედგენის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

თავი X

იარაღის გამო დავის გადაწყვეტა და პასუხისმგებლობა იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 42. იარაღის გამო დავის გადაწყვეტა

იარაღის მესაკუთრეობისა და სარგებლობის, იარაღის ტარების ნებართვის მიცემის ან იარაღის ჩამორთმევის გამო, დავა გადაწყდება სასამართლო წესით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 43. პასუხისმგებლობა იარაღის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების დარღვევით დადებული გარიგებანი იარაღის გასხვისების შესახებ ბათილია.

პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით იარაღის დამზადების, გაყიდვის, შეძენის, გადაზიდვის, გადაგზავნის, ტარებისა და გამოყენების წესების დარღვევაში, ეკისრებათ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანა, გატანა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტი

საქართველოს რესპუბლიკაში იარაღის შემოტანის, გატანის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტის წესებს ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებანი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არსებობს უფრო ახლობელი და მონათესავე ხალხები, ვიდრე ქართველი და აფხაზი ხალხებია

2 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის ჟურნალისტთა ჯგუფი.

ჟურნალისტებმა გამოიკითხეს, თუ რა პოლიტიკური ვითარებაა რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. ედუარდ შევარდნაძემ ამომწურავი პასუხი გასცა ყველა კითხვას. მან აღნიშნა, თუ რა პოზიტიურ როლს ასრულებენ სამშვიდობო ძალები რუსეთის მონაწილეობით ცხინვალის რეგიონში და უფრო დაწვრილებით გააცნო რუს ჟურნალისტებს აფხაზეთში არსებული ვითარება. ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთში პრობლემის გადაჭრის მრავალი ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი გადაწყვეტა ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომ გაიგზავნოს აფხაზეთში სპეციალური მისია, რომელიც შეასრულებს შუამავლის როლს. მაგრამ პრობლემა უკეთ გადაიჭრება, თუ გაიმართება დიალოგი ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ არსებობს უფრო ახლობელი და მონათესავე ხალხები, ვიდრე ქართველი და აფხაზი ხალხებია, — განაცხადა მან. ამიტომ მათ უნდა გამონახონ საერთო ენა, როგორც იყო ეს მრავალი საუკუნის განმავლობაში.

კითხვას, შეძლებს თუ არა ორი ხალხი, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, უწინდელივით ერთად ცხოვრებას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა, რომ ეს უძნელესი და ურთულესი პროცესია, მაგრამ შესაძლებელია. ახლაც კი, როცა იღვრება სისხლი, სიძულვილის ვითარების მიუხედავად, ადამიანები ერთმანეთისაკენ მიიწევენ. ქორწინდებიან ქართველები და აფხაზები.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის საკითხს და აღნიშნა, რომ პარლამენტში არ არის შეურიგებელი ოპოზიცია, არსებობს ორგანიზაციული კავშირი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. გარდამავალ ეტაპზე გამოინახა საინტერესო ფორმა, რომელიც არ უშვებს გამუდმებულ წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას, რაც ხელს უშლის რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციას.

დაისვა ასეთი კითხვაც: დარჩებიან თუ არა საქართველოში რუსეთის ჯარები?

ხელშეკრულების პროექტში, რომელზეც უკვე ახლა მიმდინარეობს მუშაობა და უკვე გაიმართა მოლაპარაკების სამი რაუნდი, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ჩაწერილია, რომ რუსეთის ჯარები საქართველოში რჩებიან 1995 წლამდი.

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა ჟურნალისტის კითხვას იმის თაობაზე, თუ ვის აძლევს ხელს არასტაბილური ვითარება საქართველოში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დაშლა ეს რუსეთის დაშლის დასაწყისია. ბევრს, სამწუხაროდ, არ ესმის ეს. არასტაბილური საქართველო სტიმულს აძლევს ნეგატიურ პროცესებს ჩრდილოეთ კავკასიაში. გასაკვირია იმათი პოლიტიკა, ვინც ხელს უწყობს ამ დესტაბილიზაციას. კონფლიქტური სიტუაცია საქართველოში არავის არ უნდა აძლევდეს ხელს.

ჟურნალისტებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პრესმდივნის

განცხადება

როგორც ცნობილია, „სამოქალაქო კავშირის" ფორუმზე, რომელიც გაიმართა 28 თებერვალს მოსკოვში, გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი.

შეეხო რა ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე ყველა შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტით რუსეთის დაინტერესებას, მან აღნიშნა, რომ „დადგა მომენტი, როცა ავტორიტეტიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რუსეთს უნდა მიანიჭონ ამ რეგიონში გარანტისა და სტაბილურობის განსაკუთრებული უფლებამოსილებანი".

უპასუხა რა საქართველოს რადიოს კორესპონდენტის კითხვას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ამის თაობაზე მეორე დილას შენიშნა, რომ მას არ ჰქონია ჯერჯერობით შესაძლებლობა გასცნობოდა განცხადების ტექსტს და არა ჰგონია, რომ იგი შეესაბამებოდეს სინამდვილეს. მაგრამ თუ ეს ასეა, და მართლაც იყო ასეთი მოთხოვნა, მაშინ ეს უკვე შემაშფოთებელი მოვლენაა. „იქნებ, — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს არის სწორედ რუსეთის ახალი როლი სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მიმართ, რომელზეც ადრე ვლაპარაკობდი, თუმცა, მხოლოდ რეაქციული ძალების მოქმედებას ვგულისხმობდი".

სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანი უფლებამოსილია განმარტოს, რომ მიმდინარე წლის იანვარში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობის საკითხის გამო საპარლამენტო კამათის დროს, ედუარდ შევარდნაძე თანამიმდევრულად იცავდა რუსეთთან კეთილმეზობლური თანასწორუფლებიანი ურთიერთობის კურსს, და აღნიშნავდა, რომ დემოკრატიული მონაპოვრები ამ ქვეყანაში უნდა დაიცვან მთელმა ძალებმა, თორემ მისი რეაქციული წრეები კვლავ შეეცდებიან თავს მოახვიონ მას ევროპის ჟანდარმის როლი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ეს გამონათქვამი უცნაურად ეხმიანება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის ცნობილ დემარშს, რომელსაც მან მიმართა, 1992 წლის 14 დეკემბერს, როცა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პლენარულ სხდომაზე გააკეთა ანალოგიური შინაარსის მკვახე განცხადება, და რომლის დეზავუირებაც, სხვათა შორის, მან თვად მოახდინა რამდენიმე საათის შემდეგ.

ასეთივე ნაბიჯი ხომ არ გადაიდგმება ამ შემთხვევაშიც?

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების შესახებ

ითვალისწინებს რა პარლამენტის ფრაქცია „რესპუბლიკელების" წინადადებებს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის გადაწყვეტილებას, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას შეისწავლოს სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობებისათვის დადგენილი რეჟიმის დაცვის მდგომარეობა.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას შეამოწმოს სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების საქმიანობა.

3. აიკრძალოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თანხმობის გარეშე სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სტატუსისა და დადგენილი რეჟიმის შეცვლა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1995 წლის 2 მარტი.

აქტუალური ინტერვიუ

თემაზე—...ვით უბინაოს ყოფნა ბინაში...

ბალინა ხარებაშვილი



თუ პარლამენტარებს პირობითად მიკროფონისტებად და არამიკროფონისტებად დავყოფთ, ანუ იმად, ვინც ძალზე აქტიურად ცვლის ერთიმეორეს მიკროფონებთან და იმად, ვინც ადგილზე ჯდომას ამჯობინებს, ბატონი ირაკლი ანდრიაძე აშკარად ამ მეორეთა ჯგუფში აღმოჩნდება. სამაგიეროდ იმათგან თუ ვინმე მივა მიკროფონთან, რომელიც უფრო მეტს ისმენს, ვინემ საუბრობს, დარბაზიც შესხეულად გაირინდება და ტელეეკრანთან მჯდომი მაყურებელიც სმენას გაამახვილებს ხოლმე. მით უმეტეს, თუ გამომსვლელი ამ დროს ადამიანთათვის განსაკუთრებულად საჭირბოროტო საკითხს შეეხება, ინტერესი დასაშვები ნორმების ფარგლებს სცილდება. ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათ, როდესაც ბატონი ირაკლი ანდრიაძე თავის გამოსვლაში ერთ-ერთ სხდომაზე ბინათმშენებლობის საკითხს შეეხო.

ამ ჩვენი აწეწილი ცხოვრების გადამკიდე ადამიანებს უკვე აღარ სჯერათ, რომ ვინმე ამქვეყნად მათ ყოფაზეც ფიქრობს. რომ უნდა დადგეს დრო, როდესაც ჩვენ ყოველდღიურ ლექსიკონს დაიკავებს არა სიტყვები — შუქი, უკანდახევა, პური, ზეთი, ჯავშანტრანსპორტიორი, არამედ უბრალოდ, ვთქვათ, ბინა — მყუდრო, სუფთა, კეთილმოწყობილი, ტორშერის მკრთალ შუქზე ფინჯან ყავაზე, ან ჩაიზე მეგობრების წრეში გატარებული ერთი ჩვეულებრივი, უპრეტენზიო საღამო, გულში გლოვისა და ტელევიზორში „მაცნესათვის" დაძაბულად მიჩერებული მზერის გარეშე.

მკითხველები გვირეკავენ და გვეკითხებიან, მოისმათ, თუ ბატონი ირაკლი ანდრიაძე მართლა შეეხო ესოდენ აქტუალურ და ამ ბოლო წლებში სავსებით მივიწყებულ პრობლემას. გვთხოვენ შეძლებისდაგვარად უფრო ფართოდ განვუმარტოთ პარლამენტარის მიერ წამოყენებული წინადადებების არსი.

ბატონ ირაკლის შეწუხება ამიტომ მოგვიხდა.

—**ბინათმშენებლობის** პრობლემებზე მართლაც ვისაუბრე. იმიტომ, რომ ამ საკითხის სულ უკანა პლანზე გადაწევას უკვე თვით საქმე ველარ ითმენს. აბა, მიმოვავლოთ თვალი, თუ რა მდგომარეობაშია ომისგან თუ მიწისძვრისაგან დაზარალებული ადგილები, კავკასიონის ცენტრალური ნაწილი, რაჭა, ზემო იმერეთი, შიდა ქართლი, აფხაზეთი, აჭარის ზოგი რაიონი. რაღა შორს წავიდეთ, რუსთაველის გამზირი, როდის, რით, რა საშუალებებით ვაპირებთ დაქცეულის აშენებას.

— რუსთაველის გამზირის აღდგენითი სამუშაოები, როგორც გარედან თვალის შევლებითაც ჩანს, მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

— მეტიც, დიდი არც არაფერი გაკეთებულა. და, საერთოდ, რა მდგომარეობაშია საქართველოს სამშენებლო კომპლექსი? ერთ მაგალითს მოვიტან: როდესაც გურჯაანში აფეთქების გამო სახლი დაინგრა, ძლივსძლივობით გამოინახა ოცდახუთტონიანი ამწე იქ გასაგზავნად, მაშინ, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ სპიტაკში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით ჩვენი მშენებლების მთელი კოლონა რამდენიმე საათში უბედურების ადგილზე იყო. ასე, რომ, დღეისათვის ის, რაც ათეული წლების მანძილზე შექმნილა სამშენებლო ინდუსტრიის სახით, იშლება, ნადგურდება, პროფესია იკარგება, სამწუხაროდ, ბევრი მშენებელი კომერსანტის როლში გვევლინება. თუ გასაგები მიზეზების გამო დღეს არ შეგვიძლია მშენებლობის დაფინანსება, ის მაინც ვაგრძნობინოთ მშენებლებს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ან ოდესმე საჭირო იქნებიან ქვეყნისათვის და რომ დარგის პრობლემებზე ფიქრობენ სახელმწიფო ორგანოები, გზებს ეძიებენ. მშენებლობა ხომ საქართველოს უძველესი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული დარგთაგანია. ამას გარდა მშენებლობა არის სახალხო მეურნეობის ურთულესი დარგი, რომლის განვითარება ხელს უწყობს დანარჩენი დარგების შემდგომ წინსვლას.

თუ ასე გაგრძელდა, მომავალში, როდესაც საქართველოში დადგება აღმშენებლობის დრო, ალბათ ვალუტაზე მოგვიწევს შეძენა იმ ყველაფრისა, რაც დაიკარგა და იკარგება დღესაც.

— იმისათვის, რომ ასე არ მოხდეს, რა უნდა ვიღონოთ დღეს?

—ჩემი აზრით, აუცილებელია პარლამენტმა ყურადღების ფოკუსში მოაქციოს დარგი. პრობლემები, ვფიქრობ, ძირითადად ამ მიმართულებით უნდა დამუშავდეს: 1. რესპუბლიკაში მიწისძვრითა და საომარი მდგომარეობით გამოწვეული აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებები; 2. სამშენებლო კომპლექსის, სახელმწიფო ქონების მართვისა და მშენებლობის დარგის პრივატიზაციის პრობლემები და 3. მშენებლობის დარგის მართვის ორგანიზაცია.

პარლამენტის სხდომებზე კი ჯერჯერობით ამ საკითხებზე ყურადღება არ გამახვილებულა.

— ეს, ასე ვთქვათ, გენერალური მიმართულებები. მაგრამ კონკრეტულად გადასაჭრელი ურთულესი საკითხები? მაგალითად, რესურსების პრობლემა?

— ამიტომ ვიმეორებ ათასგზის: რომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, მაქსიმალურად აწარმოოს ის სამშენებლო მასალები, რომლის პოტენციური შესაძლებლობაც უხვად გაგვაჩნია. ამასთანავე, დაამყაროს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები მეზობელ ქვეყნებთან. მაგალითად, ინერტული მასალები რესპუბლიკას აქვს, ცემენტი კი არასაკმარისია, თუმცა, რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია შესაძლებელია.

მშენებლობისათვის საჭირო ლითონის ნაწილს რუსთავი უშვებს, ნაწილიც უნდა შემოვიტანოთ. ხე-ტყე კი... მწვანეთა მოძრაობის ლიდერები დამეთანხმებიან, ჩვენს ტყეში მიმდინარეობს ბუნებრივი ჭრა, რაც გამოყენებულ უნდა იქნეს მშენებლობაში. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, ამიტომ ხელშეკრულებით უნდა მივიღოთ სხვა ქვეყნებიდან.

დაბოლოს — ფინანსები: აქ რამდენიმე საშუალება არსებობს. ერთი ასეთია: ადგილობრივი ორგანოები ან მშენებლები იღებენ გრძელვადიან სესხებს და აშენებენ საცხოვრებელ სახლებს, რომელთა ნაწილს უბინაო, განსაკუთრებულად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადასცემენ ქალაქის ხელმძღვანელობას (მაგალითად, თბილისის მერიას), რომელიც შემდგომ მუნიციპალიტეტის ქონება იქნება, ნაწილს კი გაყიდიან კომერციულ ფასებში, რათა ანაზღაურდეს მთლიანად სახლის მშენებლობის ხარჯები. მეორე: მოქალაქეს შეუძლია აიღოს გრძელვადიანი (40-50 წლით) სესხი კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის, რომლის გადახდას იგი დაიწყებს ბინის მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ.

არის დაფინანსების კიდევ ერთი წყარო —იპოთეკური ბანკების დაარსება რესპუბლიკის მსხვილ რეგიონებში. ამ ბანკების მეშვეობით მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, შვეციამ და სხვებმა, საგრძნობლად მოაგვარეს ბინათმშენებლობის საკითხი. ამ ბანკების გამოყენება შეიძლება აგრეთვე სოფლის მეურნეობაში და მცირე ელექტროსადგურების მშენებლობაში.

— რას ნიშნავს სიტყვა იპოთეკური? რა არის ამგვარი ბანკების სპეციფიკა?

— სიტყვა ბერძნულია და უძრავი ქონების დაგირავებას ნიშნავს სესხის მიღების მიზნით. ამგვარი ბანკების სრულყოფილად ამოქმედებისათვის საჭიროა საკუთრების შესახებ კანონის მიღების და პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება.

უძრავი ქონების დაგირავება ახალი არ არის. ეს ძველმა ბერძნებმა ჩვენ წელთაღრიცხვამდე VII-VI საუკუნეში იცოდნენ უკვე.

ერთი სიტყვით, ჩვენ სულ ახალი და ახალი საშუალებები უნდა ვეძებოთ ამ უაღრესად მწვავე საკითხის გადასაწყვეტად.

— ზოგადად იდეა, რასაკვირველია, უაღრესად მოსაწონია, ვინ არ იცის, რომ არის ოჯახები, რომლებსაც საკუთარი თავის ბინით უზრუნველყოფის არავითარი შანსი არა აქვთ. ამიტომ მათზე უთუოდ უნდა იზრუნოს ვინმემ. მაგრამ დღეს, როდესაც ასე მოშლილია ყველა სტრუქტურა, როდესაც საბაზრო ეკონომიკის რელსებზე კი გადავდივართ, მაგრამ ისევ ჯერჯერობით უფრო სურვილია და არა რეალობა, როდესაც ბოლოსდაბოლოს ომია ქვეყანაში, როგორ უნდა დაიდგას თავი ამ საქმეს?

— კი, ჩვენთან ომია და ეს, რასაკვირველია, უაღრესად ართულებს მდგომარეობას. ყველაზე დიდი ყურადღება ამას უნდა ექცეოდეს, ყველაფერი ჩვენი ერთიანობისთვის უნდა კეთდებოდეს. ეს უდავოა. მაგრამ ცოტა წინაც უნდა გავიხედოთ.

ხომ არ უნდა ვანგრიოთ მხოლოდ, უნდა ვაშენოთ კიდევაც. ამიტომ, მგონია, აუცილებელია, მთავრობაში ჩამოყალიბდეს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ამ საქმეს.

ვფიქრობ, პარლამენტის შესაბამისმა კომისიებმა სხვა უწყებებთან ერთად უნდა მოამზადონ და პარლამენტში განსახილველად შემოიტანონ შემდეგი საკითხები: — 1. სამშენებლო კომპლექსში უცხოური ინვესტორებისათვის სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნის შესახებ. ეს მით უფრო საშურია, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობს საქართველოს მშენებლობისათვის დამტკიცებული ასეთი ნორმატიული აქტები. მხედველობაში გვაქვს ჩვენი სახელმწიფოსათვის მისაღები სამშენებლო ნორმები და წესები; 2. სამშენებლო კომპლექსისათვის გამოსადეგი სპეციალური საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება სათანადო კანონებით, მათ შორის იპოთეკური ბანკების შექმნა საქართველოს მთავარ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში; 3. საქართველოში მშენებლობისათვის საჭირო უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად უცხოური სადაზღვევო ბანკების მოწვევის შესახებ სათანადო კანონმდებლობის შემოღება; 4. საჭიროა დამუშავდეს რესპუბლიკისათვის სათანადო საბინაო კოდექსი.

— გასაგებია, რომ საკანონმდებლო აქტები უპირველესად საჭიროა, თუმცაღა არანაკლები როლი განეკუთვნებათ ამ საქმეში აღმასრულებელ ორგანოებს.

— რასაკვირველია, მათ უსწრაფესად უნდა დანერგონ რესპუბლიკაში სამშენებლო ტექნოლოგიური ხაზები ბუნებრივ რესურსებზე დაყრდნობით და საერთოდ შეიმუშაონ სამშენებლო რესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა.

ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს არ ძალუძს. ამიტომაც საჭიროა პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის, მშენებლობის, მრეწველობის, ფინანსთა, რესურსების სამინისტროების, რესპუბლიკური ბანკის, ბუნების დაცვის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტების, საინჟინრო აკადემიის, კერძო ფირმების, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების და ბევრი სხვა უწყების კოორდინირებული მუშაობა.

— წარმოვიდგინოთ, რომ განხორციელდა სურვილი. ახლა ისიც ვთქვათ, რა ნიშნებით გაანაწილებს მერია ბინებს — ძველი აღრიცხვით, თუ რაღაც სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით?

— ალბათ უპირველესად, — რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ბინები უნდა მიიღონ ყველაზე გაჭირვებულმა, უბინაო ოჯახებმა, რომელთაც ბინის შეძენის არანაირი საშუალება არა აქვთ, მრავალშვილიანმა ოჯახებმა.

— ამ საკითხთან დაკავშირებული კიდევ ერთი დეტალი მაინტერესებს: ჩვენ, მე მგონი, ნამეტანი გავიწიეთ განზე — თბილისი გლდანიდან ეგრეთ წოდებულ „აფრიკამდე", გადაიჭიმა, ცენტრი კი თითქოს ერთგვარად მიუხედავი დარჩა. ნუთუ არ შეიძლება უფრო ეფექტიანად მისი რეკონსტრუქცია, რასაკვირველია ისე, რომ ამა თუ იმ უბანმა თავისი სტილი, კოლორიტი არ დაკარგოს, პირიქით, გამოიკვეთოს.

— გეთანხმებით. ცენტრში დიდი შესაძლებლობებია. ოღონდ ეგ არის, ამ საქმეს ნამდვილმა პროფესიონალებმა უნდა მოკიდონ ხელი, თორემ დღეს აშენებულს ხვალ აგრე იოლად ველარ გადავაკეთებთ. თბილისის იერსახე კი თითოეული ჩვენგანისთვის მეტად ძვირფასია, უნდა მოგახსენოთ, რომ დედაქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის და განვითარების შესახებ არა ერთი საინტერესო პროექტია დამუშავებული, მათ შორის უცხოელთა მონაწილეობითაც.

— ბატონო ირაკლი, 12 ოქტომბრის შემდეგ თქვენ უჩვეულო ამპლუაში ბრძანდებით — პარლამენტარი ხართ. როგორ შეეგუეთ ამ მოვალეობას, რა აზრის ხართ საქართველოს პარლამენტის შესახებ?

— პარლამენტი მუშა ორგანოა და არა თეატრალური სანახაობა. პარლამენტის წევრის საქმიანობა ძირითადად კომისიებში უნდა მიმდინარეობდეს და არა დარბაზში მიკროფონთან. ბევრი ჩემი კოლეგა ვიცი, საკმაოდ ბევრს მუშაობს, ასე ვთქვათ, კულისებს მიღმა, მიკროფონთან გამოსვლაზე კი თავს იკავებს, ბევრი კი პირიქით არის, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა აზრს აუცილებლად ხმამაღლა, ხალხის გასაგონად გამოთქვამენ.

ბევრ დროს ვხარჯავთ ზედმეტად. ერთხელ ვიხუმრე კიდეც, ბავშვობაში „ვეფხისტყაოსანი" ეტყობა, კარგად არ გვასწავლეს და გრძელი სიტყვა მოკლედ რომ ითქმის, არ ვიცით-მეთქი.

— თქვენი აზრით სხდომების ტელევიზიით ტრანსლაცია ხომ არ არის დიდწილად ამაში დამნაშავე?

— შეიძლება. ყველა სხდომა რომ არ გადაიცემოდეს ეთერში, პომპეზური გამოსვლების რაოდენობა ამით შემცირდებოდა. შეიძლება შიგა და შიგ ზოგიერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხდომის გადაცემა, მაგრამ არა ყველასი განურჩევლად. ეს ჩვენი მუშაობაა და რა საჭიროა ყველა სამუშაო სხდომას მილიონობით მაყურებელი ყავდეს.

ერთი სურვილიც მინდა გამოვთქვა: ჩემ კოლეგებს შორის მეტი კოლეგიალობა მინდა იყოს, ეთიკის ნორმებს ნაკლებად არღვევდნენ. საერთოდ პარლამენტმა ცოტა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ხალხისათვის სასიცოცხლო საკითხებზე მსჯელობას და კანონების მიღებას. კარგი იქნებოდა, ურთიერთობები დაგვემყარებინა ევროპარლამენტთან, რომელსაც დიდი შესაძლებლობები გააჩნია სამშენებლო კომპლექსის გასავითარებლად.

— თქვენ თბილისელთა მეხსიერებაში დარჩით როგორც ქალაქის მერი, თქვენი აზრით, დედაქალაქისთვის ახლა რა არის უპირველესად საჭირო?

— მოსახლეობის სოციალური საკითხების ნაწილობრივ მაინც მოგვარება (კომუნალური სამსახურების სრულყოფილი მუშაობა). კიდევ — რუსთაველის გამზირის აღდგენა, რისთვისაც ასე თავდადებით იღვწის ბატონი კოტე გაბაშვილი. ვიცი, ახლა მკითხავთ, სახსრებიო?!... იცით, ადრეც გვიჭირდა. მაინც ვაშენებდით, უამრავი ვალი გადაგვყვებოდა შემდგომი წლისთვის. აშენებული კი შეგვრჩებოდა ხოლმე. ალბათ ახლაც ასეა საჭირო.

უნდა ამოქმედდეს საგადასახადო ინსპექცია, მოინახოს სპონსორები საქართველოს გარეთ მყოფი ფირმების სახით, ამოქმედდეს კავშირები თბილისთან დამმობილებულ ქალაქებთან, კარგი იქნებოდა მჭიდრო კავშირების დამყარება დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგალითად „იუნიდოსთან".

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წესრიგის დაცვას.

ჩვენს ცხოვრებაში არის **პრობლემები, მეტნაკლებად მტკივნეულად დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრებასთან, ყოველდღიურობასთან. მათ შორის ალბათ უპირველესი ბინის პრობლემაა. არაფერი ეშლებოდა პოეტს, შედარების ობიექტად რომ იყენებდა უმძაფრეს სურვილს „მომწყურდი ესლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში".**

გამოხდება ხანი.

ალბათ დალაგდება ჩვენი აწეწილი ყოფა.

იმის დროც მოვა, ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭებაზეც ვიფიქროთ, ბევრი ნათელი ოცნება ავუხდინოთ და ბევრი მხატვრული შედარება რეალობად ვუქციოთ.

ფოთი: აწმყო და მომავალი

არ დაიხოცებიან თოლიები ნავსადგურში

(დასასრული)

ნიგზის, და იგი მეორე გემმისადგომთან გაკეთდება: ფოთი-ვარნა-ილიჩოვსკი, ასეთი იქნება მისი მარშრუტი.

მეხუთე — ნავთობსაწყობის ამოქმედებაა, რომელიც 1942 წლის შემდეგ კვლავ საქართველოს დაუბრუნდა (სამხედროების წასვლის შემდეგ). მისი მეშვეობით მოვემსახურებით სავაჭრო გემებს, რა თქმა უნდა, ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალების გემებსაც.

(პაუზა. ტელეფონის ზარებს არა ვთვლი, ჩვენი საუბარი „შეწყვეტილი რეჟიმით" მიმდინარეობს. ამჯერად, ბულგარული გემის „ტანაკას" კაპიტანი ნავსადგურის კომერციულ სამსახურთან ერთად თავის პრობლემას არკვევს).

— ახლა ყველას — პროექტანტებსაც, ექსპლუატაციის მუშაკებსაც და მეზღვაურებსაც ერთი ძირითადი პრობლემა გვაწუხებს — სიღრმეები.

მთავარი არხის სიღრმე, მაგალითად, 13,7 მეტრი უნდა იყოს, არის კი ცხრანახევარი.

ყოველწლიურად ოდესიდან ჩამოყვანილი სპეციალური გემებით ვწმენდთ, ვაღრმავებთ. თუ ადრე ამ საქმეზე მილიონ-მილიონ ნახევარს ვხარჯავდით, შარშან ორმოცდაოთხი მილიონი მანეთი დაგვიჯდა, წლეულს, ვვარაუდობთ, რომ 60 მილიონს გადაგვახდევინებენ.

სიღრმეების პრობლემა 1939 წლიდან გაჩნდა, როდესაც დაღუპეს ფოთის ნავსადგური. მდინარე რიონის მთავარი ტოტი, რომელიც ქალაქში გადიოდა, ჯებირით დაცვის ნაცვლად, ჩრდილოეთით გადააგდეს. ზღვის სანაპირო დინება კი სწორედ იქიდან ჩვენსკენ მოდის და უზარმაზარი ლამი მოაქვს. ფოთი დატბორვას კი გადაარჩინეს, მაგრამ ნავსადგური დალამეს და დაღუპეს. ახალი ნავსადგურის მშენებლობას რომ დავიწყებთ, ამ პრობლემასაც მოვხსნით, მგონია.

(ისევ პაუზა. გერმანელი კომერსანტი საქმით იწყებს და მალე ისე გამხიარულდება, რომ თავისი ბელორუსი ცოლის სურათებს გვაჩვენებს თავმომწონედ).

— პირველი რიგის რეკონსტრუქციით ნავსადგურის ტვირთბრუნვა 11-12 მილიონ ტონამდე გაიზრდება, ახალი ნავსადგურის მშენებლობის დამთავრება კი საშუალებას მოგვცემს 30-40 მილიონამდე ავიდეთ და მსოფლიოს საუკეთესო ნავსადგურების რიგში ჩავდგეთ.

მაგრამ ნავსადგური მხოლოდ თავისთვის და თავის თავში არ არსებობს. იმას, რაც უკვე ვთქვი, ქალაქის ინფრასტრუქტურის ყოველმხრივი განვითარება მოჰყვება. ხაზს ვუსვამ — რეკონსტრუქციის შემდეგ კი არა, მის პარალელურად, მასთან ერთად.

ეს რომ ასე იქნება, დღესვე დასტურდება. ნავსადგურში რეკონსტრუქციის სამუშაოები დაიწყო და პორტის ხელმძღვანელობამ ქალაქის ერთი უბნის „შეფობა იკისრა": მთავრდება სასტუმროს, რესტორან „ფაზისის" კეთილმოწყობის სამუშაოები. ეს არ იქნება პროვინციული დონის „ობიექტები", ვარაუდობენ, და დაპროექტებულიცაა ვარსკვლავების გარკვეული რაოდენობა.

საკუთარ თავში რომ არ იკეტებიან და საკუთარი პრობლემების მესერს რომ არ ეფარებიან, იქიდანაც ჩანს, რომ პორტის მეცენატობის გარეშე, დღეს ქალაქის ცხოვრება ვერავის წარმოუდგენია: ფოთის ტელევიზიას 6 მილიონი მანეთი გადაურიცხეს, ფეხზე დადგომაში დაეხმარნენ. იმ დღესაც, იქ რომ ვიყავით, ჩვენი ფოთელი კოლეგები ახალი თხოვნით იყვნენ მისულნი.

ნავსადგურის უფროსთან ფოთის ფეხბურთის გუნდის წარმომადგენელს თუ სტადიონის დირექტორს (კარგად ვერ გავარკვიეთ მისი თანამდებობა) თავისი საქმე აქვს: სადაცაა დაიწყება ფეხბურთის სეზონი და სტადიონის (თუ მინდვრის) შეკეთებაა საჭირო, ყოველწლიური, საგაზაფხულო. სტადიონს, როგორც ყოველთვის, ფული არა აქვს.

— აუცილებლად დაგეხმარებით. ხვალ დილით შევხვდეთ ერთმანეთს.

— თქვენთან სულ რიგია, ბატონო ვალერი და გამიჭირდება...

— 10 საათზე. მდივანს ეცოდინება.

მომსვლელს ისე გაეხარდა, რომ იმავე წუთს მასპინძლობა მოინდომა, — წამოდით და წამოდით. მადლობა მოვახსენეთ. მაშინ — ხვალო. ხვალ — მივდივართ, ბატონო. აბა, როცა გაგიხარდებათ, მზადა ვარ, და უმაღლეს დონეზე დაგხვდებითო.

გულგახსნილი ხალხი ცხოვრობს ფოთში!

ის დღე ვალერი გეგიძის სამუშაო ოთახში სანთლის შუქზე დაილია: ფოთს ისევ გამოურთეს ელექტროენერგია, და გაჩერდა, გაიყინა ნავსადგური.

გემები ელით როგორც მირაჟი მიწისა და წყლის უდაბნოთა საზღვარზე.

• • •

როგორ მდიდრდებოდნენ სარაჯიშვილი და ზუბალაშვილები, დიდი ქართველი მეწარმენი, საქმიანი ხალხი, რა ხერხითა და მეთოდებით, ეს დაინტერესებულთა ძალიან ვიწრო წრემ თუ იცის. უმრავლესობას არც აინტერესებს და, ცხადია, არც იცის. სამაგიეროდ, სარაჯიშვილისა და ზუბალაშვილების საქველმოქმედო საქმიანობა ყველასთვის საცნაურია და ერის ისტორიაშიც ჩაიწერა.



ისტორიისთვის არ ზრუნავს მოგელი ტყებუჩავა, პატიოსანი და ვაჟკაცი კოლხი მონადირის აკაკი ტყებუჩავას ვაჟი, რომელიც ეგებ პირველთა შორის იყო, ვინაც პოლიტიკური ციებ-ცხელების ვაი-ვიშობით კი არ დაითრგუნა თავი, არამედ, თავისუფალი ეკონომიკის ნიავთა ქროლას იმთავითვე ალღო აუღო და უკვე მომძლავრებულ საბაზრო ურთიერთობათა ზურგის ქარით ფირმა „კოლხეთის" საქმიანი აფრები აავსო.

ამ ფირმის შესახებ პირველად ვალერი გეგიძისგან შევიტყვეთ: მაშინ, როდესაც კარგადაც არ ვიცოდით, რას ნიშნავს კერძო ბიზნესი, იმ პერიოდში ჩამოყალიბდა ეს ერთობლივი საწარმო.

მოგელი ტყებუჩავა:

— დიახ, ასე გამოვიდა. როგორც კი შეიცვალა სიტუაცია ეკონომიკურ ურთიერთობებში, მაშინვე დავიწყეთ ფიქრი ჩვენი საქმიანობის პრინციპულად ახალი მიმართულებების შესახებ.

იმთავითვე დავამუშავეთ კომერციული სქემა, რომელიც ითვალისწინებდა პირველ რიგში, უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვას, ფოთის ნავსადგურის საშუალებათა და საქართველოს სანაოსნოს სიმძლავრეთა მაქსიმალურ გამოყენებას. ამავე სქემაში გავითვალისწინეთ იმ ურთიერთობათა ინტეგრირება, რომლებიც ადრე არსებულ სსრკ საზღვაო სამინისტროს სტრუქტურებში გაგვაჩნდა საზღვაო ვაჭრობის საწარმოთა ხაზით. ყველაფერი ეს ავამოქმედეთ ჩვენს ერთობლივ საწარმოში, რომელიც 1991 წლის აგვისტოში შეიქმნა. მთავარი მაინც ის იყო, რომ გასასვლელი გვქონდა საზღვარგარეთ. მოვნახეთ საინტერესო, ავტორიტეტული უცხოელი პარტნიორი, დიდი ფრანგული ფირმა „დავიდსი", რომელიც ადრევე კონტაქტირებდა საზღვაო ფლოტის სამინისტროსთან. შევთავაზეთ დამფუძნებლობა. დაგვთანხმდა და ამჟამად ჩვენს დამფუძნებლებს შორისაა. ჩვენი ძირითადი საქმიანობა ექსპორტ-იმპორტია. მაგრამ ამით ვერ შემოვიფარგლებით და განზრახული გვაქვს, რომ ჩვენივე წარმოების პროდუქციით მოვამარაგოთ ქალაქი. პრაქტიკულად ამისთვის მზადა ვართ. დღეს კი საშუალება გვაქვს, დავეხმაროთ ფოთელებს და ხელმისაწვდომ ფასებში მივაწოდოთ შემოტანილი სასურსათო პროდუქცია.

ხელმისაწვდომ ფასებში!.. თბილისის კომერციული მაღაზიების ფასების ევერესტების შემყურეთათვის ძნელად წარმოსადგენი, თუმცა, ადვილად გასაგები (საოცნებოც!) ეს მცნება, ფოთში რომ რეალობაა, მოგელი ტყებუჩავამ ასე ახსნა:

— სხვა კომერციული სტრუქტურებისგან განსხვავებით, პროდუქციის გასაყიდი ფასების დადგენისას აუცილებლად ვითვალისწინებთ მოსახლეობის ინტერესებს, თუმცა, შეგვეძლია ნებისმიერ ქალაქში — საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ — გავყიდოთ ჩვენს მიერ შემოტანილი საქონელი და დიდი მოგებაც მივიღოთ. მაგრამ ჩვენი მუშაობის პრინციპი სხვა არის. საწარმოს კომერციული სამსახური, რომელსაც ქალაქში ცნობილი პიროვნება შოთა მეგრელიშვილი ხელმძღვანელობს, უპირველეს ყოვლისა, იმას ცდილობს, რომ მცირეშემოსავლიან ოჯახებს შეღავათიან ფასებში მივყიდოთ ესა თუ ის პროდუქტი — შაქარი, მარგარინი, კარაქი, ხორცი, ზეთი, ამჟამად ისრაელიდან დიდი რაოდენობით შემოვიტანეთ ქათმის ხორცი და საკონდიტრო ნაწარმი, რომელთაც ამავე პრინციპით გავანაწილებთ. ყველა შემთხვევაში კომერციული ფასები ბაზრისაზე 40-45 პროცენტით ნაკლები მაინცაა. იმას მივაღწიეთ, რომ ჩვენს მაღაზიებში ამ პროდუქტების მინიმალური რაოდენობა სისტემატურად არის.

ვადასტურებთ, — არის. არის სამრეწველო საქონელიც, გაცილებით იაფი, ვიდრე, თუნდაც, უნივერმაღ „თბილისში". ფოთელები და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულები ინტენსიურად ყიდულობდნენ იმ დღეებში შავი ზღვის ქურქებს, რომელთა რაოდენობა, ეტყობა, საკმარისი იყო, რადგან რიგში ხალხის სიმრავლის მიუხედავად, თავზე არავინ არავის ახტებოდა. სვეტლანა ნიკოლაიშვილი, ამ მაღაზიის გამგე, ისე ჩაფლულიყო ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში, როგორც ერთ დროს თავის ახალგაზრდულ გატაცებასა თუ პროფესიაში, — ოცდაათი წლის წინ იგი სახელგანთქმული მეჩაიე გახლდათ.

მოგელი ტყებუჩავა:

— მუშაობაში ხელს გვიწყობს ის, რომ ურთიერთობა გვაქვს ბელგიის, საფრანგეთის, ისრაელის, თურქეთის საქმიან წრეებთან; ფილიალები გახსნილი გვაქვს თბილისში, მოსკოვში, კემეროვოში, სოჭში.

მოგელი ტყებუჩავა, რასაკვირველია, ფირმის მუშაობის სიღრმეებში არ იჭრება, არის, ალბათ, რაღაც „პროფესიული საიდუმლო". ჩვენც ამით უნდა დავკმაყოფილდეთ. თანაც — დრო ფულია, ამ ოფისში ეს ფრთიანი გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით აღიქმება: საუბარს თურქი ბიზნესმენი ესწრება, რომელსაც მასპინძელმა ბოდიში მოუხადა საქმიანი მოლაპარაკების რამდენიმე წუთით შეწყვეტისათვის. მისაღებში სამი კაცი ზის ახლო აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყნიდან.

— „კოლხეთის" მთავარი სამოქმედო პრინციპია — ხელი შევუწყოთ საქართველოს ხელისუფლებასა და მთავრობას ბიზნესის განვითარებაში და მოსახლეობის პროდუქტებით დაკმაყოფილებაში.

არ იყო ეს პრესისთვის წარმოთქმული სიტყვები: ფოთში ცდილობენ მოცემულ კონტექსტში იცხოვრონ.

როგორ ახერხებენ ამას, ქალაქის მერთან რომან მელიასთან საუბრისას გავიგებთ.

არმაზ სანებლიძე.

სურათზე: მოგელი ტყებუჩავა.

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო („საქართველოს რესპუბლიკა")

თურქეთი ხელს გვიწვდის

პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისათვის

საქართველოში თურქეთის საელჩოს დროებითი რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა ვაჰით ოზდემირმა ქართველი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თურქეთი მუდამ მზად არის დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს მეზობელ სახელმწიფოს. თურქეთმა დღემდე საქართველოს 14 მილიონ 624.980 დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქტი, მედიკამენტები, 50.000 ტონა ხორბალი გამოუგზავნა. გარდა ამისა, სამაჩაბლოსათვის 660.000 დოლარის დახმარება გამოჰყო; აფხაზეთისათვის ჰუმანიტარული დახმარება შეადგენს 620.670 დოლარის ღირებულების, ხოლო აჭარისათვის — 156.000 დოლარის ღირებულების პროდუქტებსა და მედიკამენტებს. ამ პროდუქტების გადმოსაზიდი სატრანსპორტო ხარჯებიც თურქეთის მთავრობამ გაიღო. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის „ეგზიმ ბანკმა" 50 მილიონი დოლარის კრედიტი გამოჰყო.

მიწის პრივატიზაციის პრობლემებზე

ყვარელში 26 თებერვალს გამართულ რეგიონალურ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა მიწის პრივატიზაციის საკითხებს, აღინიშნა, რომ კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემა ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, თუმცა ამ პროცესის დროს წამოჭრილი პრობლემები რამდენადმე აფერხებენ რეფორმის განხორციელებას. ხელს გვიშლის რესპუბლიკაში სტაბილური ვითარების უქონლობა, ამასთანავე ადგილებზე დაშვებულია შეცდომები, ზოგან ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს — დაიწყეს სპეციალიზებული მეთესლეობისა და სანერგე მეურნეობების მიწის პრივატიზება, რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება დაკარგოს საკუთარი ბაზა მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლისა და ნერგების წარმოებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

პარტიებსა და მოძრაობებში

გამგეობა უძლურია

ხარაგაულის რაიონის პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, რომლებიც 27 თებერვალს შეიკრიბნენ, გაანალიზეს რაიონში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია და მიიჩნიეს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი გამოასწოროს მდგომარეობა, ფაქტობრივად არაფერს აკეთებს ამ მიზნით, და პრინციპულად დააყენეს საკითხი რაიონის გამგეობის სრული შემადგენლობით გადადგომის შესახებ.

ეს რედაქციას შეატყობინეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იმერეთის ბიუროს ხარაგაულის კომიტეტის, საქართველოს დემოკრატიული კავშირის, მწვანეთა პარტიის რაიონული კომიტეტებისა და ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს ხელმძღვანელებმა ვ. კიკნაძემ, ც. ბუზულაშვილმა, ი. ტაბატაძემ და გ. ბლუაშვილმა.

სამკურნალო ბევრია — მკურნალი ცოტა

„მენცარი" ნარკომანებს კურნავს, რეციდივი მოსალოდნელი არ არის

მენცარი ძველი ქართული სიტყვაა. ის ახლა მხოლოდ მეგრულს შემორჩა. დაკვირვებულ, მცოდნე, სხვისი გულის მესაიდუმლე კაცს ნიშნავს.

„მენცარი" მარტო [illegible] არ გახლავთ, არის ადამიანთა [illegible] ჯგუფი, ერთი ფსიქოლოგია, ერთი ფილოლოგი, ეკონომისტი, ინჟინერი. ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებენ ეს ადამიანები, მაგრამ დღეს მხოლოდ ერთზე — ნარკომანიაზე ვისაუბრებთ. ნარკომანიას ებრძვიან არა მარტო ცალკეული პირები, გაერთიანებები და სამართალდამცავი დაწესებულებები, არამედ სახელმწიფოებიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სენის აღკვეთა კი არა, შეჩერებაც კი არ ხერხდება.

ვესაუბრებით **გივი მერაბიშვილს** — ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მენცარს.

— ვფიქრობ, ნარკომანობა და ნარკოტიკებით ვაჭრობა არ უნდა იყოს აკრძალული. ბრძოლის არსებული სისტემის უნაყოფობა, როგორც ყველანი ვხედავთ, აშკარაა.

დავაკვირდეთ როგორც ჩვენს, ისე მსოფლიო გამოცდილებას: ნარკომანიის აკრძალვამ, მისმა ულმობელმა დევნამ, ბოლოსდაბოლოს, რა შედეგი გამოიღო, მოსპო ეს ჭირი? პირიქით, მოგეხსენებათ, აკრძალული ხილი ტკბილია. ასეა ადამიანი, რასაც უკრძალავენ, სწორედ ის მოუნდება ხოლმე. ნარკოტიკის აკრძალვით მისდამი ინტერესი გაღვივდა და შხამი კიდევ უფრო გაძვირდა. ვთქვათ, მორფინისტს დღეში ათი ათას მანეთამდე ღირებულების ნარკოტიკული ნივთიერება სჭირდება. როგორ გგონიათ, ადვილია ყოველდღე ამდენი ფულის შოვნა?

ჰოდა, ასეთმა კაცმა თუ დანაშაული არ ჩაიდინა, ისე ფულს ვერ [illegible] დანაშაულთა უმრავლესობა [illegible] ნარკოტიკების [illegible] საშინლად ხდება. ახლა წარმოიდგინეთ, ნარკოტიკები აფთიაქებში რომ იყიდებოდეს იაფად, რამდენად შემცირდებოდა დანაშაულობათა რიცხვი და სიმძიმე.

მას „პრაქტიკულობა" ჩამოეკლებოდა. როგორც იცით, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალიზაცია დიდი ხანია მოხდა და შედეგიც კარგი მიიღეს.

ნუთუ ცხადი არ არის, რომ აკრძალვა საქმეს ვერ შველის. ნარკოტიკი იმდენია „ბაზარზე", რამდენიც — მოთხოვნილება, ოღონდ ბევრად უფრო ძვირად. ამას მეორე უბედურებაც ემატება. ნარკოტიკები ჩვენთან ძირითადად სხვა ქვეყნებიდან შემოდის და უზარმაზარი ფული გადის. აქ ამოღებული თანხით შემდეგ ძირითადად ყიდულობენ პირველადი მოხმარების საქონელს. თუ სახელმწიფო თვითონ ნარკოტიკს შემოიტანს, დამზადებას დაიწყებს, ყოველწლიურად მილიარდებს მოიგებს.

— არა, ბატონო, ასე მარტივად იყოს საქმე, როგორც თქვენ ბრძანებთ, მაშინ დადგება საკითხი, რა ფასად უნდა გაიყიდოს აფთიაქებში, ვის უნდა მიეყიდოს... აღრიცხვაზე დგომის ბევრი [illegible], განხილვები [illegible].

— გეთანხმებით, ეს საკითხები მოსაგვარებელია, მაგრამ ამას ჩვენზე უკეთ ალბათ კანონმდებლები გააკეთებენ, მოსალოდნელ მოვლენას გაითვალისწინებენ. მთავარია ლეგალიზაცია ისე მოხდეს, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ამკრძალავი ღონისძიებები.

— მაგრამ ლეგალიზაციის შემდეგ განა ყველა დაანებებს თავს ნარკოტიკის მიღებას?

— არა, რა თქმა უნდა. მათ უნდა უმკურნალონ.

— რანაირად? თუ ლეგალიზაცია იქნება, ნარკომანი აღარ დაისჯება. თუ არ დაისაჯა, მას იძულებით მკურნალობასაც ვეღარ მოუხერხებ, აბა როგორღა უნდა უმკურნალონ, ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ისინი თავისი ფეხით მოდიან ხოლმე პროფილაქტორიუმებში?!

— ზოგი კი მოდის, მაგრამ, ძირითადად არა, რა თქმა უნდა! იცით, რატომ არ მოდიან თავისი სურვილით?

— არ სურთ განკურნება?

— არა, სურთ, მაგრამ განკურნების იმედი არა აქვთ.

— რატომ?

— სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პროფილაქტორიუმში ვინმე განეკურნოთ.

— რატომ ვერ კურნავენ, ჩვენს ექიმნარკოლოგებს სათანადო ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ?

— რა მოგახსენოთ! მათი მკურნალობის მეთოდი არ არის სწორი, ჩვენი „მენცარის" ჯგუფი კი კურნავს, თან ისე, რომ რეციდივი აღარ მეორდება.

შედეგი ასპროცენტიანია, თუ დაცული იქნება ერთი, თითქმის მარტივი პირობა — პაციენტმა არ უნდა გააცდინოს სამკურნალო პროცედურები. აცდენენ კი. ამის ორი ძირითადი მიზეზი აქვს: პაციენტის სულიერი მდგომარეობა და, რაც უცნაურად ჟღერს, ყველაზე უფრო მონდომებული ხალხის — მშობლების, მეუღლეების, და-ძმების, მეგობრების — უნებლიე ხელის შეშლა. მიუხედავად ჩვენი დარიგებისა, ისინი ზედმეტად უხეშად ერევიან მკურნალობაში. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია პაციენტის სტაციონარში მოთავსება. სამწუხაროდ, ჩვენ კლინიკა არა გვაქვს და ამიტომ დავსვით კიდევაც საკითხი ერთ-ერთი სამკურნალო დაწესებულების „მენცარისათვის" გადმოცემის შესახებ. ლაპარაკია ისეთ დაწესებულებაზე, რომელსაც დღეს პრაქტიკულად არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

— თქვენი აზრით, რა სახის დაავადებაა ნარკომანია, და თქვენ როგორი მეთოდით მკურნალობთ მას?

— თეორიულმა ანალიზმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ნარკომანია ისეთივე კატეგორიის მოვლენაა, როგორც შიზოფრენია, ისტერია, ლოთობა, პროსტიტუცია და სხვა ფსიქოზი თუ ნევროზი.

ძირითადი მაინც ისაა, რომ მიზანმიმართული საუბრებით ვწვდებით დაავადების გამომწვევ პირველად მიზეზს. მკურნალობის შემდგომი გზა კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

— თუ არ ვცდები, ეს ის მეთოდია, რომელიც ფროიდმა ჩამოაყალიბა.

— გარკვეულწილად ასეა. მაგრამ ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი სიახლეებიც. ფროიდმა დაიწყო პირველადი მიზეზის ძიება და ეს მეთოდი სამართლიანად იქნა მიჩნეული გენიალურ აღმოჩენად, მაგრამ ეს ძიება გარკვეულ მონაკვეთზე შეჩერდა. ავადმყოფობის გამომწვევ ძირითად მიზეზად დასახელებულ იქნა ინცესტი, აგრესიულობა და ბისექსუალობა. „მენცარის" ჯგუფის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს უკანასკნელი მოვლენები სიმპტომებს წარმოადგენს და არა მიზეზებს. მათ გამოვლენას სხვა მიზეზი აქვს, რომელიც უფრო ღრმად ძევს ადამიანის ფსიქიკაში. ჩვენ ვახერხებთ ამ სიღრმეში ჩასვლას ისე, რომ თვით პაციენტს აღმოვაჩენინებთ თავისი დაავადების პირველად მიზეზს და ასე ვმკურნალობთ ყოველგვარ ფსიქიკურ აშლილობას.

— კეთილი! ნევროზებს კიდევ [illegible], მაგრამ ნარკომანების და განსაკუთრებით შიზოფრენიით დაავადებულთა მკურნალობა? რაღაც არ მჯერა.

— ჩვენ მივაგენით დაავადების გამომწვევ პირველად მიზეზებს. საკითხის არსში უფრო კარგად გარკვევისთვის, ალბათ, უმჯობესია ჩვენს მიერ გამოცემული ბროშურა წაიკითხოთ, რომელსაც „მენცარი" ჰქვია. სხვათა შორის, მისი თარგმანი ამ დღეებში გამოვიდა რუსეთში და მალე ინგლისურ ენაზეც გამოვა საზღვარგარეთ. ჩვენი ჯგუფი ხუთკაციანია, მკურნალობა კი თვეობით გრძელდება, რამდენი პაციენტის მიღებას შევძლებთ ერთდროულად? — მაქსიმუმ თხუთმეტ-ოცისას. ამიტომ არ ვცდილობთ ჩვენს საქმიანობას რეკლამა გავუწიოთ, პირიქით, ვემალებით ხალხს.

— როგორც ვიცით, სამწუხაროდ, მსგავსი ავადმყოფები ძალიან მომრავლდნენ.

— საუბედუროდ, ძალიან ბევრნი არიან: ნარკომანები, ნევრასთენიით, შიზოფრენიით დაავადებულები... და ისეთებიც, ვინც ვერ ხვდება, რომ სამკურნალოა.

— ასეთებიც არიან?

— სამკურნალო ძალიან ბევრია, მკურნალი კი ცოტა. თუმც საქართველოში არის ნარკოპროფილაქტორიუმები. მაგ, გაწეული ხარჯი, რომ იტყვიან, წყალში იყრება.

ჩვენ განმეორებით ვაყენებთ ერთ-ერთი მათგანის გადმოცემის საკითხს, სადაც მკურნალობის პარალელურად იმდენ სპეციალისტს მოვამზადებთ, რამდენიც ქვეყანას სჭირდება. ამაზე უკეთესი რა უნდა გავაკეთოთ ქვეყნისათვის, ჩვენ ხომ შეგვიძლია მრავალი განწირული ადამიანის ცხოვრებისკენ მობრუნება?!

— რომ ვერ შეძლოთ?

— როგორც აქამდე ვიყავით, ვიქნებით ისევ ისე. შეჩვეული ვართ გაჭირვებას. გულდასაწყვეტი კი იქნება, ჩემმა აზრმა რომ არ გაიმარჯვოს, კლინიკა თუ არ გვექნება, უბრალოდ, დაყოვნდება ესოდენ საშური საქმე. იგი მხოლოდ შემცირებული მასშტაბით განხორციელდება.

ესაუბრა
მარადი ანასაშვილი.

დაარსდა „გიორგი ბრწყინვალის" საქველმოქმედო ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა სრულიად საქართველოს „გიორგი ბრწყინვალის" საქველმოქმედო ფონდი.

მისი მიზანია პოპულარობა გაუწიოს გიორგი ბრწყინვალისა და ბაგრატიონთა [illegible] ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იზრუნოს იმ ქართული ისტორიული და კულტურული, ხუროთმოძღვრული ძეგლების აღდგენისათვის, რომლებიც საჭიროებენ ყურადღებასა და ზრუნვას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი მიზანია აგრეთვე მზრუნველობა არ მოაკლოს აზერბაიჯანში, თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართული ეროვნების ნაკლებად უზრუნველყოფილ მრავალშვილიან ოჯახებს, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, მოხუცებს, ინვალიდებს, სამშობლოსათვის ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებს, მარტოხელა დედებს. ფონდი ხელს შეუწყობს ქრისტიანული სარწმუნოების აღორძინებას და გავრცელებას, დაცვა-დამკვიდრებას.

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა დარბაზი, აღმასრულებელი — მრჩეველთა საბჭო, რომელიც 38 კაცისაგან შედგება. ფონდის პრეზიდენტია მიხეილ ჩაჩუა.

ფონდი თანამშრომლობისათვის იწვევს ყველას, ვინც იზიარებს მის საქველმოქმედო პროგრამას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება ცნობილი მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ომარ კელაპტრიშვილის სახელი მიეკუთვნება მისი მშობლიური კუთხის — კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის სამუსიკო სკოლას. კასპის რაიონის გამგეობას დაევალა ამავე სოფელში მოაწყოს ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი.

თბილისის მერია მემორიალურ დაფას გაუკეთებს სახლს, სადაც ცხოვრობდა ომარ კელაპტრიშვილი.

გისმობთ „კათარზისი"

ასოციაცია „კათარზისი" გამოსაცემად ამზადებს ყოველწლიურ ცნობარს „მოწყალების მატიანე".

ამასთან დაკავშირებით ასოციაცია თხოვს საზოგადოებრიობას მიაწოდონ იმ ორგანიზაცია-დაწესებულებების, საზოგადოებებისა თუ ცალკეული პირების სიები, რომლებმაც კონკრეტული ქველმოქმედებით გამოიჩინეს თავი.

როგორც ცნობილია, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს სათნოების სახლში მოხდება ასოციაციის მიერ დაწესებული საპატიო წოდებების მინიჭება, რომელთაგან უმთავრესი გახლავთ „კეთილ კაცთაგან ყველაზე კეთილის", „ბედთან მორკინალისა" და „მოწყალე სამარიტელის" წოდებები.

ასოციაციის მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 121. სათნოების სახლი. ტელეფონი: 95-86-92.

კრიმინალური ქრონიკა

ყოველდღე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანების შესაბამისად ფართოვდება თბილისსა და მთლიანად რესპუბლიკაში დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების გეგმაზომიერი ღონისძიებანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, გასულ კვირას ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელების დროს, აგრეთვე ნებაყოფლობით რესპუბლიკის მოქალაქეთაგან მიღებულია 35 ავტომატი, 47 პისტოლეტი, 160 ერთეული სხვადასხვა სახეობის ასაფეთქებელი საგანი, მათ შორის ხელყუმბარები, ჩაბარებულ იარაღს შორისაა რაკეტის სასროლი პისტოლეტები და სხვადასხვა კალიბრის ვაზნები.

რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ წვეთია ზღვაში, მაგრამ ზღვა კოვზით დაილია, ესეც უთქვამთ.

ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღი

სურათებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-სამთრივეო ნაწილის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი მერაბ იმედაშვილი აფორმებს მოსახლეობის მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღის მიღებას; ეს იარაღი უკვე აღარ მოემსახურება დანაშაულებრივ მიზნებს.

იური რიგალევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაურკვეველი მიზეზებით

28 თებერვალს ღამით რესპუბლიკის ენერგეტიკულმა სამსახურმა, გაურკვეველი მიზეზებით, დენი გამოურთო ხაშურ-ზესტაფონისა და თბილის-ხაშურის რკინიგზის მონაკვეთებს. ამის შედეგად, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოლეგ ბიწიაშვილმა უთხრა, აქ შეჩერდა რამდენიმე სატვირთო და სამგზავრო მატარებელი.

დახმარება დღესასწაულის დღეს

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ „დედის დღის" დღესასწაულის დაწესებასთან დაკავშირებით საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა დაავალა საზოგადოების ძირეულ რგოლებს ადგილობრივი მართვის ორგანოებთან ერთად კოორდინაცია გაუწიონ „დედის დღის" დღესასწაულის ჩატარებას, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მის საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაქცევას. პრეზიდიუმმა მოუწოდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ასოციაციებს, ფირმებს, კონცერნებს და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს „დედის დღის" საქველმოქმედო შემოწირულობანი მიზნობრივად წარმართონ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ანგარიშზე (საქართველოს ბინსოცბანკი № 000700257) ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკის ამოცანების გადაჭრისა და ობოლი ბავშვების დახმარებისათვის.

„დედის დღეს" შემოსული სახსრებით დაეხმარებიან საქართველოს ეროვნული არმიისა და სამართალდამცავი ორგანოების იმ თანამშრომელთა ოჯახებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს დაღუპულთა ოჯახებს, არასრულწლოვან ბავშვებს, რომელთაც ორივე მშობელი გარდაეცვალათ, ოჯახებს, სადაც სამი და მეტი ობოლი ბავშვი იზრდება.

⊙

ვირუსი განაგრძობს შეტევას

მენინგოკოკური ინფექციით გამოწვეული დაავადების 27 შემთხვევაა დაფიქსირებული რესპუბლიკაში დეკემბრის შუა რიცხვებიდან 24 თებერვლამდე. შვიდი კაცისათვის იგი მომაკვდინებელი აღმოჩნდა, 18 შემთხვევაში ეს მძიმე სენი მოდიოდა 16 წლამდე ბავშვების წილად. აი ასეთი საგანგაშო სტატისტიკით დაიწყო ჩვენი საუბარი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმის მოადგილესთან მიხეილ ელიკაშვილთან.

— დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ეს სრული მონაცემებია, რადგან ზოგიერთი რაიონიდან ცნობები ჯერ არ მიგვიღია, — უთხრა მან საქინფორმის კორესპონდენტს. — დაავადების დაქვეითებაზე ლაპარაკიც კი არ არის, ჩვენ მოველით მის ესკალაციას მაისამდე. ავადმყოფთა ყველაზე დიდი რაოდენობა მოდიოდა იანვარზე — 10 კაცი, თებერვალში იყო შვიდი, თბილისში დაფიქსირებულია 14 შემთხვევა.

ვითარება რთულია. დაავადების ყოველი შემთხვევა ხდება გულმოდგინე შესწავლის ობიექტი საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად შექმნილია ეპიდემიოლოგთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ამოწმებენ მოსახლეობას, ვინც კონტაქტში იყო ავადმყოფთან, რათა გამოავლინონ მენინგოკოკური ინფექციის მატარებლები. უკვე შემოწმებულია ივნისი ათასზე მეტი კაცი, მათგან გამოვლენილია ამ ინფექციის ორი მატარებელი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებს, როგორც მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ნაწილს, ამოწმებენ სკოლამდელ დაწესებულებებს, საშუალო სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, ბავშვთა სპორტულ კოლექტივებს.

ალა ქიქოძე.

⊙

ახალი გაზეთი

გამოვიდა სამეცნიერო-საინჟინრო და საზოგადოებრივი გაზეთი „საქართველოს ინჟინერი", რომელიც დააფუძნეს საქართველოს საინჟინრო აკადემიამ და საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირმა ამავე პროფილის გაზეთ „პროგრესის" ბაზაზე.

გაზეთის უპირველესი ამოცანა იქნება საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ახალი ტექნიკური აზროვნების შექმნასა და დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობა.

გაზეთის მთავარი რედაქტორია გიორგი ლაბაძე. თანარედაქტორები არიან: საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ ნაკაიძე და საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის მდივანი, საინჟინრო აკადემიის მრჩეველი ზურაბ აბულაძე.

საქართველოს ინჟინერი

პროგრესი

ცხონება

ვახტანგ მოდებაძე



საქართველოს მევენახეობისა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ვახტანგ პლატონის ძე მოდებაძე.

ბატონი ვახტანგი თითქმის 50 წლის განმავლობაში დიდი სიყვარულით, საკუთარი თავის მიმართ უსაზღვრო მომთხოვნელობით ემსახურა საქართველოს ეკონომიკისთვის ტრადიციულ მევენახეობასა და ღვინის მრეწველობას. იგი იყო მრავალი გამოგონების, რამდენიმე ათეული სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი.

ვ. მოდებაძის პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული პრაქტიკოს-სპეციალისტის დიდი გამოცდილება, საუკეთესო ორგანიზატორისა და გარშემომყოფთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების გამორჩეული უნარი, რაც ხასხებით გამოვლინდა „სამტრესტის" უფროსის მოადგილედ ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი ადამიანი.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, ღვინის მრეწველობის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტი".

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის (კავშირის) წევრთა საყურადღებოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა II (რიგგარეშე) ყრილობის გადაწყვეტილებით ტარდება წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

წესდებით კავშირის წევრები შეიძლება იყვნენ შემოქმედებითი მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ჟურნალისტებად (პრესა, ტელევიზია, რადიო, საინფორმაციო სააგენტო, გამომცემლობა, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი).

გამგეობის დადგენილებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით ფედერაციის (კავშირის) წევრობა გაუუქმდებათ: ა) მათ, ვინც მიღებულია წესდების დარღვევით; ბ) ვინც არ მუშაობს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში; გ) ვისაც არა აქვს გადახდილი საწევრო შესატანი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში; დ) ვინც გაერთიანებული არ არის რომელიმე პირველად ჟურნალისტურ ორგანიზაციაში.

რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ წევრებს მიეცემათ ახალი ნიმუშის ბილეთები. ძველი სხვა მოწმობა ჩაითვლება გაუქმებულად.

ალექსანდრე თვალჭრელიძის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, № 52, ოთახი 422, ტელ.: 99-54-80.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

2 თვე ჩვენთან სწავლა და....

თქვენ შეგეძლებათ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებთან (ფაქსი, ტელექსი) და კომპიუტერთან ურთიერთობა, საქმიანი საუბარი და წერილების შედგენა ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული),
წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა, მომსვლელთა სწორად მიღება, სატელეფონო საუბრის სწორად წარმართვა და სწორად ჩაცმაც კი.

თქვენ
გახდებით პროფესიონალი მდივან-რეფერენტი
რაც საშუალებას მოგცემთ იმუშაოთ ერთობლივ საწარმოებში, სააქციონერო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, კომერციულ ბანკებში.
სწავლა დაიწყება 9 მარტს.
მეცადინეობები ჩატარდება ყოველდღე
შაბათ-კვირის გარდა, საღამოს საათებში.

დაგვიკავშირდით ტელეფონით: 39-27-62
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40.
თბილისის მენეჯერთა სკოლა
საწვრთნელო-საკონსულტაციო ფირმა ამბა

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვის ოპერაციებს რუსეთიდან საქართველოში უმოკლეს ვადებში, თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით.
ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია:
ქ. თბილისში: 36-09-29; 36-27-74 (11-დან 14 სთ-მდე);
ქ. მოსკოვში: (095) 378-79-78.

რესპუბლიკური გაერთიანება
„საქვაჭროტექნიკა"

იღებს შეკვეთებს ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან 10-დან 30 მეტრამდე ფართობის გადასატანი კამერა-მაცივრების დამზადებაზე. მაცივარი იმუშავებს ავტომატური რეჟიმით 0°-დან-15°C ტემპერატურაზე. ფასი სახელშეკრულებო.
საკონტაქტო ტელეფონები: 34-60-29, 31-02-97, 72-47-85, 34-33-45, 34-66-06.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 5 მარტს.

დაწინაურდა ნინო გურიელი

[illegible] ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირის მეექვსე ტურში დაახლოება ახალი ლიდერი — თბილისელი დიდოსტატი ნინო გურიელი, რომელსაც ამ დღეს [illegible] ქულა მოაგროვა.

მას ერთი ქულით ჩამორჩებიან ნინო ხურციძე, ინგა ხურცილავა (მათ შორის გამართული პარტია ნინომ მოიგო) და ლუდმილა ასლანიანი, რომელმაც ქეთევან კახიანთან წააგო.

ფინიშამდე 3 ტური დარჩა.

ქვეყნის ზამთრის ჩემპიონატებზე

ამ დღეებში დედაქალაქის სპორტულ ბაზებში დამთავრდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატები:

ცურვა

პირადი 5-5 ოქროს მედალი მოიპოვეს შოთა დავითაიამ და მაია კაკუჩაიამ, ხოლო 4-4 — კობა აბზიანიძემ და დიმიტრი მოროზოვმა (ყველანი — თბილისის პირველი გუნდი). 2 უმაღლეს ჯილდოს დაეუფლა გიგა ყიფიანი (თბილისის მეორე გუნდი).

გუნდური. I — თბილისის პირველი გუნდი, II — თბილისის მეორე გუნდი და III — რუსთავი.

ეს ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატის პირველობისათვის (ივლისი, სტამბოლი) კანდიდატთა ერთ-ერთ შესარჩევ ეტაპს წარმოადგენდა.

თანამედროვე ხუთჭიდი

პირადი. I — დავით დათუაშვილი („დინამოს" პირველი გუნდი), II — მალხაზ შუშიაშვილი („შევარდენის" პირველი გუნდი) და III — თემურ ბალაქარი („დინამოს" პირველი გუნდი).

გუნდური. I — „დინამოს" პირველი გუნდი, II — „შევარდენის" პირველი გუნდი და III — „დინამოს" მეორე გუნდი.

ცვლილებები ჭიდაობის წესებში

როგორც ცნობილია, ახლახან გაიმართა თბილისის ოცდამეთერთმეტე საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მისი შედეგები უკვე გამოქვეყნდა. მათ შესახებ აღარაფერს დავწერთ, შემოვიფარგლებით მხოლოდ ჭიდაობის წესებში, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის — ფილას მიერ შეტანილი ცვლილებებით.

ამ ცვლილებებით ჭიდაობა გახდა უფრო დინამიკური, უფრო მიმზიდველი. შეიცვალა მეტოქეთა დაწყვილების წესი. მოჭიდავეები აღარ იყოფიან წინასწარ ორ ჯგუფად, ისინი შეხვედრებს ატარებენ ძიუდოს სისტემით (ოდნავი განსხვავებით). მოჭიდავეები ატარებენ კენჭისყრას და ანომრებიან 1-დან ნებისმიერ რიცხვამდე, რის შედეგადაც მაღალი ნომრების მქონე მოჭიდავეების წინასწარი შეხვედრებით ხდება დაყვანა 4, 8, 16, 32 და ა. შ. მონაწილეთა რაოდენობის სქემებზე. წაგების შემთხვევაში, მოჭიდავე ებმება სანუგეშო ტურნირში, მესამე ადგილის მოსაპოვებლად, თუკი მისი მძლე დაუმარცხებლად გაიკვლევს გზას ფინალისაკენ.

მოჭიდავეები აიწონებიან მხოლოდ ერთხელ — შეჯიბრების წინა დღეს. წონით კატეგორიაში ჭიდაობა იწყება და მთავრდება იმავე დღეს. გამონაკლისი იყო ჩვენი ტრადიციული ტურნირი, რომელიც ჩატარდა ორი დღის განმავლობაში.

ჩოქბჯენის ქვედა მდგომარეობიდან, თუკი მოჭიდავე ამოდის ჩოქბჯენიდან და დგება მეტოქესთან პირისპირ, მას ენიჭება ერთი ქულა.

ძირითად დროში (5 წუთი) თუ ერთმა მოჭიდავემ ვერ დააგროვა სამი ქულა, მაშინ შეხვედრა გრძელდება დამატებით დროში (3 წუთი), ვიდრე ერთ-ერთი მოჭიდავე არ დააგროვებს 3 ქულას.

დამატებითი დროის გასვლის შემდეგ გამარჯვება მიენიჭება იმ მოჭიდავეს, რომელსაც აღმოაჩნდება მეტი ქულები (1:0, 2:0 ან 2:1). თუ ძირითადი და დამატებითი დროის გასვლის შემდეგ მოჭიდავეებს ექნებათ მოპოვებული ქულების თანაბარი რაოდენობა (0:0, 1:1, 2:2), მაშინ გამარჯვება ენიჭება იმ მოჭიდავეს, რომელსაც ექნება მიღებული ნაკლები გაფრთხილებები, თუ გაფრთხილებებიც თანაბარია, მაშინ იმ მოჭიდავეს, ვისაც აღმოაჩნდება ნაკლები შენიშვნები, ხოლო თუ მოჭიდავეებს აღმოაჩნდათ შენიშვნების თანაბარი რაოდენობა, მაშინ შეხვედრის შედეგს განსაზღვრავენ სამსაჯო ბრიგადა (ხელის გაშვერით), ხალიჩის ხელმძღვანელი არბიტრი და გვერდითი მსაჯი.

ჩოქბჯენში არასწორი პოზიციის დაკავებისათვის მოჭიდავეს ეძლევა შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში — გაფრთხილება, მის მეტოქეს კი მიენიჭება ერთი ქულა.

ჩოქბჯენიდან თუ მოჭიდავემ ჩაატარა ილეთი მეტოქის ხალიჩიდან მოწყვეტით, ასეთ შემთხვევაში მოჭიდავეს მიეთვლება ტექნიკური მოქმედება და დამატებით მიეცემა კიდევ ერთი ქულა.

თუ კი მოჭიდავემ მეტოქე ჩააყენა სახიფათო მდგომარეობაში და დაიჭირა იგი 5 წამის განმავლობაში, მაშინ მას მოპოვებულ ტექნიკურ ქულებთან ერთად დამატებით მიენიჭება კიდევ ერთი ქულა.

ჩოქბჯენში ტრიალით გადაგორების შემდეგ მოჭიდავეს უფლება ეძლევა განმეორებით შეასრულოს ეს ილეთი, თუ კი იგი მეტოქეს აართმევს ერთ ქულას ან მისი მეტოქე მიიღებს გაფრთხილებას, ანდა შენიშვნას, აგრეთვე მაშინ, როცა მეტოქე ჩოქბჯენიდან გადის ხალიჩის ფარგლებს გარეთ და ჭიდაობა განახლდება ისევ ჩოქბჯენში.

მოჭიდავეს წმინდა გამარჯვება ენიჭება, როცა იგი შეხვედრას იგებს 10 ქულის სხვაობით. შეხვედრის შედეგები ჩაიწერება ასეთნაირად: როცა ანგარიშია 10:0 — იწერება 4:0; ხოლო სხვა შემთხვევაში 10 ქულის სხვაობის დროს (13:3, 11:1 და ა. შ.)— იწერება 4:1.

ანზორ კვირიკაშვილი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ც. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434